საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 251 (539) ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 7 დეკემბერს 10 საათისათვის ახალი კინდღის მიდამოებში მოწინააღმდეგემ სცადა საზღვაო დესანტის გადმოსხმა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებმა მოწინააღმდეგის გემს ცეცხლი გაუხსნეს, დააზიანეს და არ მისცეს დესანტის ხმელეთზე გადმოსხმის შესაძლებლობა. დაზიანებული გემი ღია ზღვაში შეიმალა.

21 საათისათვის სოხუმის სანაპირო ზოლთან შეამჩნიეს წყალქვეშა ნავი, რომელიც წყლის ზედაპირზე ამოსული მიცურავდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ამავე დღეს კვლავ დაუშინეს საარტილერიო ცეცხლი ქალაქ სოხუმის ახალ რაიონსა და საგარეუბნო სოფელ აჩადარას. დაიღუპა სამი და დაიჭრა შვიდი მშვიდობიანი მცხოვრები. ამ ბარბაროსულმა აქციამ იმსხვერპლა სოხუმელი ასიდა აჟიბა.

• • •

8 დეკემბერს 12 საათსა და 10 წუთზე სოფელ ეშერის საშუალო სკოლის შენობასთან საბრძოლო პოზიციაზე გამოვიდა მოწინააღმდეგის ტანკი და პირდაპირი დამიზნებით დაუწყო სროლა სოხუმის ახალ რაიონში მდებარე 14-სართულიან საცხოვრებელ სახლს. ჭურვები მოხვდა მე-9-10 სართულებს. სახლი მნიშვნელოვნად დაზიანდა, წინასწარი მონაცემებით, არიან დაჭრილები. ქართულმა მხარემ საპასუხო საარტილერიო სროლით აიძულა მოწინააღმდეგის ტანკი შეეწყვიტა სროლა და გაბრუნებულიყო.

• • •

8 დეკემბერს თბილისიდან სოხუმში ჩამოფრინდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კამკამიძე. იგი ადგილზე ეცნობა მდგომარეობას.

იოსებ გობეჩია.

●

დაბომბეს სოფელი ბესლახუბა

ოჩამჩირე. ოჩამჩირეში საქართველოს ჯარების სარდლობის შტაბიდან 8 დეკემბერს ნაშუადღევს მიღებული ცნობის თანახმად, 8 დეკემბრის ღამის სამ საათზე მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა დაბომბა სოფელი ბესლახუბა. დაინგრა შენობა-ნაგებობანი. მსხვერპლი არ არის.

7 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონში საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას დაიღუპა შვიდი ქართველი მებრძოლი. კვლავ მოქმედებს სატრანსპორტო არტერია ოჩამჩირიდან სოხუმამდე.

●

ხანძარი რუსთავში

5 დეკემბერს, დაახლოებით 18 საათზე, რუსთავში, ჭავჭავაძის ქუჩის 6-ში მდებარე ერთოთახიან ბინას ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ აღმოაჩინეს ლოჯიაში მწოლიარე დამწვარი გვამი. იგი 1917 წელს დაბადებული თამარ ბერულავა აღმოჩნდა. მიმდინარეობს გამოძიება.

ყველაფერს ცხოვრების რეგლამენტი განსაზღვრავს

რეპორტაჟი პარლამენტის სხდომის დარბაზიდან

ბუნებრივია, აფხაზეთის პრობლემა ყველას აწუხებს. ყოველი ჩვენი დღე იწყება შეკითხვით: რა ხდება აფხაზეთში? როდის დადგება სიმშვიდე საქართველოს ამ ძირძველ მიწა-წყალზე? ამიტომ გასაგებია, რომ საქართველოს პარლამენტის 8 დეკემბრის სხდომაც სწორედ ამ ინფორმაციით დაიწყო. რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს გააცნო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილისაგან მიღებული ბოლო ინფორმაცია. კერძოდ, სოხუმში პურით მომარაგების პრობლემა თითქმის მოგვარებულია, წესრიგის თვალსაზრისითაც ვითარება გაუმჯობესებულია. შეფერხებათა მიუხედავად, მაინც მუშაობს ქალაქის ელექტროსამსახური. პრაქტიკულად აღდგენილია სარკინიგზო ხაზი ოჩამჩირე-სოხუმი. რაც შეეხება ოჩამჩირის მოვლენებს, გუშინ იქ მწვავე ბრძოლები იყო, არიან დაღუპულები და დაჭრილები, მაგრამ ძირითადი პოზიციები შენარჩუნებულია.

ეროვნული თავდაცვის ფონდის საკითხებს რომ შეეხო, ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სასურველია ამ ფონდის გაძლიერებაში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ყველა მოქალაქემ, ყველა წარმოებამ, ქვეყანაში და მის გარეთ მოღვაწე ბიზნესმენებმა.

სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ აფხაზეთში მალე აღდგება ტელეგადაცემები აფხაზურ ენაზე. ეს აუცილებელია აფხაზი მოსახლეობისათვის, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული თავს მოხვეული ომის ტრაგიზმი.

აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის განხილვისას პარლამენტარების აზრი ერთგვაროვანი არ იყო. გაისმოდა სხვადასხვაგვარი, ერთმანეთის საპირისპირო ხასიათის შეკითხვები, ზოგი არარეალური, ზოგიც სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობილი. მაგალითად, პარლამენტარი ია ორჯონიკიძე დაინტერესდა რამდენად სწორი იყო ინფორმაცია თურქეთის რესპუბლიკიდან „საქართველოს აგრესიისაგან აფხაზეთის გადასარჩენად“ შეიარაღებული ჯგუფების ჩამოსვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ თურქეთის პოზიცია საქართველოსადმი საკმაოდ კორექტული და გაწონასწორებულია. რაც შეეხება სხვა ეროვნების მომხვდურთ — ჩეჩნებს, ოსებს — მათი რიცხვი აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდა. სამაგიეროდ იმატა რუს მოხალისეთა რაოდენობამ. სახელმწიფოს მეთაურმა აღუთქვა პარლამენტარებს, რომ უახლოეს ხანში დაიწყება მოლაპარაკება რუსეთის ხელისუფლებასთან ამ საკითხის თაობაზე.

არაერთ შეკითხვაზე მოუხდა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პასუხის გაცემა. მათ შორის იყო ისეთიც, თითქოს არძინბას უნდოდეს შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან, მაგრამ შევარდნაძეს განეცხადებინოს უარი.

— არ მიმაჩნია, — თქვა ბატონმა შევარდნაძემ, — რომ მასთან მოლაპარაკება რაიმე შედეგს მოიტანს. თუმცა არის ზოგიერთი ოპერატიული საკითხი, რომელთა გადასაწყვეტად მასთან შეხვედრა შეიძლება სასარგებლო იყოს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება ის მოლაპარაკება, რომელსაც თქვენ გულისხმობთ.

სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტის სხდომაზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან წინა დღით გამართული შეხვედრის დროს წამოჭრილ ზოგიერთ პრობლემაზე და მათი დაუყოვნებლივ გადაჭრის აუცილებლობაზე.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ განხილვით კამათი შეწყდებოდა, მაგრამ პარლამენტართა უმრავლესობამ ვერ დაფარა თავისი ემოციები და განაგრძო კამათი, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა. გამოსვლები საკმაოდ დასცილდა ინფორმაციაში დასმულ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით შესვენების დროს საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ თქვა, რომ ყველაფერი ჩვენი რეალობით არის გამოწვეული. როცა სახელმწიფოს მეთაური ქვეყანაში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაზე ლაპარაკობს, აღნიშნა მან, ამგვარი გადახვევები აღარ უნდა გაგვიკვირდეს. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გადახვევა დღის წესრიგიდან, რადგან ასეთია ჩვენი ცხოვრების რეგლამენტი. არც მთლად ისეა საქმე, ზოგჯერ რომ ეჩვენებათ. პარლამენტმა ბევრი საქმე გააკეთა შეუსვენებლად, დღედაღამ მუშაობით. განსაკუთრებით დიდი სათხოვარი მაქვს ჟურნალისტებთან, შენიშვნებს ნუ მოერიდებით, მაგრამ თქვენი შენიშვნები ისეთი უნდა იყოს, რომ მუშაობაში დაგვეხმაროს. ჟურნალისტს შენიშვნის მოცემა არ უნდა უხაროდეს. თამაზ წივწივაძის წერილზე „ლიტერატურულ საქართველოში“ კიდეც ვიცინე და კიდეც ვიტირე. ასეთი პოზიცია დაგვეხმარება, ბუნებრივია. ეს წერილი ხომ კეთილმოსურნის დაწერილია. თუ ჟურნალისტს სიკეთე უნდა, ყველაფერი კარგად იქნება. ასე რომ, ველოდებით კრიტიკას, ოღონდ კრიტიკას კეთილმოსურნეს და კონკრეტულს.

შესვენების შემდეგ უკვე დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით პარლამენტმა სხდომა განაახლა. პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის მოხსენება „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე, ძირითადად შეეხო სახელმწიფო მინისტრის პოსტის კანონპროექტს.

არც ამ საკითხის განხილვას ჩაუვლია მშვიდად. განხილვაში მონაწილე პარლამენტარების აზრი აქაც ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იყო. განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა სახელმწიფო მინისტრისა და საგანგებო რწმუნებულის ინსტიტუტების საკითხის განხილვა. საბოლოოდ ამ საკითხში გარკვეულობა ისევ სახელმწიფოს მეთაურმა შეიტანა, რომელმაც პარლამენტარებს განუცხადა, რომ სახელმწიფო მინისტრი ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი უნდა იყოს. ამასთან მას უნდა შეუნარჩუნდეს დეპუტატის უფლებამოსილება.

სხდომა გვიან საღამომდე განაგრძობდა მუშაობას.



სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პირველი სესიის სხდომაზე.

ვარლამ ბენზიურის ფოტო.

ნომერში

◎ „ჯერ შენს ოჯახში დაამყარე დემოკრატია“. 2-3

◎ რომელი მხრიდან „უბერავს“ დიალოგის მონაწილე? 3

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით ქ. თბილისში მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა ბენზინით მომარაგების მხრივ, რის შედეგადაც პარალიზებულია სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი. განსაკუთრებული სიძნელეები შეიქმნა პურითა და სხვა აუცილებელი პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების გამართულ მუშაობაში.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე:

1. მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე გაზით მუშაობის პრინციპზე გადაყვანილ იქნეს 100 ერთეული ავტომანქანა, ხოლო 1993 წლის მარტის ბოლომდე — კიდევ 900 ერთეული.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ბატონ ზ. კერვალიშვილს სათანადო სამსახურებთან ერთად გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნული დავალების შესასრულებლად და შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 8 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფო მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეწყალების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1. **რუსუდან ბერიძე** — თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე.
   2. **იური ბოგომოლოვი** — პროფესორი.
   3. **ივანე კილურაძე** — აკადემიკოსი.
   4. **ნოდარ ლომოური** — პროფესორი.
   5. **შალვა ნათელაშვილი** — საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.
   6. **ციალა სვანიძე** — პროფესორი.
   7. **ქართლოს ღარიბაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი.
   8. **ვახტანგ ძაბირაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი.
   9. **ალექსანდრე ჯავახიშვილი** — მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
2. შეწყალების საკითხთა კომისიამ (რ. ბერიძე), სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა (გ. ლორთქიფანიძე) ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ აღნიშნული კომისიის დებულების პროექტი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 8 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
2. დაევალოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელს საქართველოს პარლამენტის მეორე, საგაზაფხულო სესიის განსახილველად წარმოადგინოს ტელევიზიის განვითარების კონცეფცია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 8 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

არჩილ გოგელიას საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს არჩილ გოგელია საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 8 დეკემბერი.

დედაქალაქს უჭირს — უნდა ვუშველოთ!

ხანდაზმულ თბილისელებსაც კი არ ახსოვთ ისეთი დრო, როცა ჩვენი დედაქალაქი დღევანდელივით გაჭირვებოდეს. ბოლო ხანს ქალაქში იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ რომელიმეს გამორჩევა შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, თითქმის შევეჩვიეთ ნაგვის გორებს ქუჩებში, დაუსრულებელ რიგებს პურის მაღაზიებში, ჭედვას ქალაქის ტრანსპორტში და, რაც ახლა განსაკუთრებით აწუხებს ყველას, აღვირახსნილ დამნაშავეობას, როცა შებინდებისას ქალაქელები თავიანთ ბინებში შეიყუჟებიან ხოლმე, რათა თავი აარიდონ ქუჩებში გამეფებულ ძალადობას, რომლებსაც დროდადრო ავტომატის ჯერი შეაზანზარებს ხოლმე...

და მაინც, ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას, დედაქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს, მან თავისი ადრინდელი იერი უნდა აღიდგინოს. სწორედ ეს რთული საკითხი იდგა ქალაქ თბილისის ხელმძღვანელებთან პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 7 დეკემბერს გამართული იმ შეხვედრის დღის წესრიგში, რომელზეც მოწვეული იყვნენ ქალაქის მერიის და მისი სამსახურების წარმომადგენლები, რაიონული სამმართველოების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

ქალაქში შექმნილი სიტუაციის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა მერის მოადგილემ, მუნიციპალიტეტის პრემიერმა ნუგზარ რობიტაშვილმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ქალაქი უმძიმეს მდგომარეობაშია. ამჟამად კვლავ უმწვავესი სოციალური პრობლემაა მოსახლეობის პურით შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება, დაძაბულობა მაინც არ შენელებულა. დღითი დღე სულ უფრო ძნელდება ქალაქის რიგიანი სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნება. სათბობის უქონლობა საშუალებას არ იძლევა ამოქმედდეს შესაბამისი სამსახურის განკარგულებაში არსებული ავტოპარკი, რომელიც თავის მხრივ განახლებას საჭიროებს. ახლა ხორციელდება საიმისო ღონისძიებანი, რომ სპეცავტომანქანები გაზის სათბობზე გადავიდეს. უნდა ითქვას, რომ ქალაქს აკლია ბუნებრივი გაზი, რის გამოც გაჭირდა საცხოვრებელი სახლების, საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების გათბობა და ცხელი წყლით მოსახლეობის მომარაგება. სათბობის მწვავე ნაკლებობამ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობაც შეაფერხა. საკმარისია ითქვას, რომ წლის დამლევიდან სატრანსპორტო საწარმოებმა კუთვნილი 12 ათასი ტონის ნაცვლად სულ 1.300 ტონა ბენზინი მიიღეს. საწარმოო გაერთიანება „თბილისპურის“ გენერალურმა დირექტორმა ომარ კაჭარავამ წამოაყენა წინადადებანი მოსახლეობით პურით უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად. კერძოდ, მან გამოთქვა აზრი, რომ ფურნეები უშუალოდ დიდ პურის მაღაზიებთან მოაწყონ. და ამ საქმეში საზღვარგარეთელი პარტნიორები ჩააბან.

ქალაქში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების შესახებ მოახსენა შეხვედრის მონაწილეებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თბილისის პოლიციის უფროსმა დავით ზეიკიძემ. მან თქვა, რომ დამნაშავეობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია, კერძოდ, შემწყნარებლური დამოკიდებულება სამართალდამრღვევებისადმი, რაც იმით გამოიხატება, რომ სხვადასხვა თანამდებობის პირი შუამდგომლობს ხოლმე დაკავებულთა განთავისუფლებისთვის. საქალაქო პოლიციის უფროსმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან ურთიერთობის საკითხებს, მან აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნორმალური იყო, სანამ ქალაქში დაიწყებოდა გაუთავებელი სროლა, ავტომანქანების გატაცება და სხვა დანაშაულობანი, რომლებსაც სჩადიან შეიარაღებულ ფორმირებებს მიტმასნილი შემთხვევითი პირები. რა თქმა უნდა, მათ არაფერი აქვთ საერთო იმათთან, ვინც იარაღით იცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სამწუხაროდ, ხშირად, როცა პოლიცია აკავებს ასეთ სამართალდამრღვევებს, მათ გამოსახსნელად მოდიან ხოლმე მათი ამხანაგები. სწორედ აქ უნდა გამოვიჩინოთ პრინციპულობა. პოლიციელთა შორისაც გამოვლინდა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც არცხვენდნენ პოლიციელის წოდებას. არაერთხელ თქმულა, რომ შეუწყნარებელია ქალაქის ქუჩებში შეიარაღებული ადამიანების გამოჩენა. ამის თაობაზე შესაბამისი ბრძანებაც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით იგი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილეები რომან გოცირიძე, ზურაბ კერვალიშვილი, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და სხვები. მათ ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკის დედაქალაქის ახლანდელი ცალკეული პრობლემების გადასაჭრელად.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მკაცრად გააკრიტიკა ხელმძღვანელები იმისთვის, რომ ჯეროვნად არ მუშაობენ ქალაქში მოსახლეობისთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, მომთხოვნელობით ვერ ეკიდებიან შესაბამის სამსახურებს. ე. შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოში შექმნილი ვითარება საგანგებოა და ასეთ სიტუაციაში ყველამ განსაკუთრებული რეჟიმით უნდა იმუშაოს. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ყველა საქალაქო სამსახურს. სახელმწიფოს მეთაურმა კონკრეტული ამოცანები დაუსახა თითოეულ ამ სამსახურს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, განსაკუთრებით მიაპყრო ყურადღება იმას, რომ ქალაქში უნდა დამყარდეს სათანადო წესრიგი, შეიარაღებული ფორმირებები გადავიდნენ ყაზარმულ მდგომარეობაზე, სასწრაფო ღონისძიებანი განხორციელდეს ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, უკანონო იარაღის ჩამოსართმევად. დედაქალაქი რესპუბლიკის სახეა და გაჯანსაღების პროცესი აქედან უნდა დავიწყოთ, ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ასეთი შეხვედრები, რომელთა მიზანია გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება, ქალაქში წესრიგის დამყარების ღონისძიებათა განსაზღვრა, ყოველ კვირაში, ორშაბათობით გაიმართება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი - მოვლენა კომენტარი

თანამშრომლობით და თანამოაზრეობით

პრესის კრიტიკული მუჯლუგუნებით გვერდებდალურჯებული პარლამენტის 8 დეკემბრის დილის სხდომა სპიკერმა, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ მცირე განმარტებით დაიწყო თემაზე — მიმართვის „ბატონებო და ქალბატონებო“ მართებულად ხმარებისათვის ქართულ ენაში. კონკრეტული წინადადებები (არცთუ პირველად თქმული) პარლამენტის სახის შენარჩუნებისათვის, ასეთი იყო მისი შესავალი სიტყვის მეორე, მთავარი აქცენტი.

არგუმენტებმა, ჩანს, გაჭრა და დღის წესრიგი ოპერატიულად დაამტკიცეს.

კამათი მერე დაიწყო, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ნებაყოფლობით აღებული ტვირთი — საქართველოში შექმნილი სიტუაციის მიმოხილვა და არსებული პრობლემების გადასაჭრელად მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება დეპუტატებს. თუმცა ამ კამათს ერქვა „შეკითხვები“.

სიტუაცია სავსებით სწორ ადგილზე დაიძაბა ერთ-ერთი დეპუტატის ექსპრომტის შემდეგ — მონაწილეობენ თუ არა აფხაზეთის ომში საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი მათი „პროცენტული რაოდენობის“ შესაბამისად. აგორდა: ზოგი ამტკიცებდა, მე რომ აფხაზეთში ვიყავი, ქართველების მეტი ვერავინ ვნახეო, სხვა — იყვნენ, მაგრამ ცოტაო; საქმეში ჩახედულნი (მათ შორის ბატონები ნოდარ ნათაძე, ნოდარ გიორგაძე და სხვანი) კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებდნენ თავისთავად საკითხის ასე დასმის უსაფუძვლობას. ზოგმა დეპუტატმა ისე დაძაბა ხმის იოგები, რომ სპიკერი იძულებული გახდა დარბაზში დადგმული მიკროფონების დანიშნულება შეეხსენებინა მათთვის.

იქნებ ვცდებით, მაგრამ, ერთმა რეპლიკამ — ხომ არ ჰგავდა ეს ემოციური აფეთქება ყოფილი ხელისუფლების მიერ პროპაგანდირებული ეროვნული გამორჩეულობის „თეორიის“ რეციდივს ახალ პარლამენტში, მოპაექრეებს სხვა კუთხითაც დაანახვა ეს პრობლემა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს შეახსენა, რომ მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, სხვა რაიონებში არაერთი ათეული არაქართველი მოხალისე მზად არის დღესვე წავიდეს ფრონტზე (ეს ადრეც იყო აქ განცხადებული); რეგულარულ არმიაში მათი ჩარიცხვის საკითხს კი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც პარლამენტმა მთავარსარდლის უფლებებით აღჭურვა, გადაწყვეტს მაშინ, როდესაც საჭიროდ მიიჩნევს შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად.

(დასასრული მე-2 გვ.).

საუბარი სამშვიდობო მისიასთან

მიესალმებით მისიას, რომელიც დააჩქარებს სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას აფხაზეთში ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის და ხელს შეუწყობს მყარ მშვიდობას ცხინვალის რეგიონში, ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენელთა მისიას. საქართველოში ჩამოსულ საპატიო სტუმრებს ხელმძღვანელობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი, ელჩი **იშტვან დიარმატი.**

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გააცნო მისიის წარმომადგენლებს ვითარება ცხინვალის რეგიონში. მან აღნიშნა, რომ აქ არათუ შეწყდა საბრძოლო მოქმედება, არამედ მოსახლეობა უკვე უბრუნდება კიდეც მშვიდობიან ცხოვრებას. მაგალითად, იქ უკვე ამუშავდა ორი ქარხანა, რეგიონი სისტემატურად ღებულობს ელექტროენერგიას, ამოქმედდა საქალაქთაშორისო ავტომატური სატელეფონო სადგური, რეგიონი მარაგდება საკვებით და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნებით.

სამშვიდობო ძალებმა შეასრულეს აქ თავისი დიდი მისია,— განაგრძო ბატონმა ედუარდმა,— მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა, როდესაც ამ მისიის შემადგენლობაში ხედავს ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილ ბოევიკებს, რომლებიც ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმებში მონაწილეობდნენ და ქართულ სოფლებს წვავდნენ.

შეეხო რა აფხაზეთის ამბებს, სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგრძნობლად იკლო ჩეჩნეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ერების წარმომადგენელთა რიცხვმა, მაგრამ სამწუხაროდ იმატეს რუსეთის წარმომადგენლებმა. მისთვის გაუგებარია, რომ საომარ ოპერაციებში მონაწილეობს რუსეთის ავიაცია. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ამ რეგიონში სტაბილიზაციას.

ედუარდ შევარდნაძეს სავსებით დაეთანხმა ელჩი იშტვან დიარმატი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერს მოახსენებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს. როგორც მან აღუთქვა სახელმწიფოს მეთაურს, მისია ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ მიიღონ მემორანდუმი, რომელიც გაითვალისწინებს ისეთი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა ცხინვალის რეგიონის სტატუსი, ლტოლვილების დაბრუნება და სხვა.

შეხვედრაზე გამოითქვა რწმენა, რომ მუდმივი მისია, რომელიც საქართველოშია, შეასრულებს თავის საპატიო დანიშნულებას.

გალინა ჩიქოვანი.

თანამშრომლობით და თანამოაზრეობით

(დასასრული)

— ბატონო ედუარდ, პარლამენტის სხდომაზე თქვენს ნათქვამს ამ ფაქიზი პრობლემის შესახებ ხომ არ დაუმატებდით რამეს „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებისთვის?

— პარლამენტის სხდომაზე რაც ვთქვი, იმას დავუმატებდი შემდეგს: როდესაც ერთაშორის ურთიერთობებზე ვლაპარაკობთ, დეტალებზე, ნიუანსებზეც კი, ეს ლაპარაკი უნდა იყოს ძალიან ფრთხილი, გამორჩეული დიდი პასუხისმგებლობით, ძალიან დიდი პასუხისმგებლობით. ყოველგვარი ემოცია, ზედმეტი ემოციური დატვირთვა უნდა გამოირიცხოს. არ შეიძლება მრავალეროვან ქვეყანაში აშენდეს დემოკრატიული სახელმწიფო, თუ ერთა შორის თანხმობა არ იქნება. ამ თანხმობის გზა კი უაღრესად ეკლიანი და მძიმეა — კონფლიქტი ოსებთან, კონფლიქტი აფხაზებთან! ხომ არ შეიძლება ამ სიტუაციაში კიდევ ვიღაცასთან კონფლიქტზე ვილაპარაკოთ...

— თან ხელოვნურად...

— თან ხელოვნურად. თან კონფლიქტზე, რომელიც არ არსებობს. გადაუწყვეტელი საკითხი ყველა სფეროში ისედაც ბევრია, დამატება არ სჭირდება. დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალი მოქალაქე უნდა იყოს ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობს — აზერბაიჯანელიც, სომეხიც, რუსიც და, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება — ქართველი. ამას უნდა შევეგუოთ, რადგან ასეთია ცივილიზებული თანაცხოვრების ნორმა. ქართველი მაშინაა თავისუფალი, თუ აქ მცხოვრები სხვა ეროვნების მოქალაქენი თავისუფალნი არიან, ამას უშუალო კავშირი აქვს ერთმანეთთან. და მე ძალიან მაწუხებს, რომ ხშირად გამარტივებულად უდგებიან ამ საკითხებს. ასე არ შეიძლება. ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ჩვენ უნდა გავზრდოთ მაგალითი ერთა შორის თანამშრომლობის და თანამოაზრეობისა ერთიანი საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლაში. აი, ამ გზით უნდა ვიაროთ და არა ისე, რომ წვრილმანებით მოვწამლოთ ეს ურთიერთობა.

— არც საყვედურებით და დაყვედრებით.

— რა თქმა უნდა.

მდუმარე ქალბატონი

ქალბატონი რუსუდან ბერიძე უმეტესად მდუმარედ ზის სპიკერის ხელმარცხნივ, ყურადღებით ისმენს გამოსვლებს, რაღაცას ინიშნავს, იწერს. ასეთად ხედავს ტელემაყურებელი მას, ასე ჩანს დარბაზიდანაც.

— ქალბატონო რუსუდან, გაგვიმხელით ფრჩხილებს, — რით ხართ დაკავებული პრეზიდიუმში ჯდომისას?

— მთელი ამ ხნის მანძილზე ძალიან დაძაბულად ვადევნებ თვალს პარლამენტის მუშაობას. სპიკერს ძალიან ბევრი საქმე აქვს, ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო, რადგან მე „გარედან" ვხედავ სიტუაციას, ამიტომ ჩემთვის უფრო შესამჩნევია ბევრი რამ. ამის შესახებ ხშირად ბარათებს ვუწერ და, ვფიქრობ, რომ კიდეც წაადგება საქმეს. ჩემი მუშაობა კი მას შემდეგ იწყება, როდესაც პარლამენტის სხდომა მთავრდება. მოგეხსენებათ, ყველა სხდომას მომზადება უნდა — დღის წესრიგს, მასალებს. ეს ჩემი უშუალო მოვალეობაა. ფაქტობრივად მუშაობა მიხდება მაშინ, როდესაც პარლამენტის სხდომა მიმდინარეობს და უფრო მეტად მაშინ, როდესაც შემდეგი სხდომის მომზადებას ვიწყებთ.

— მაინც, რა ბარათებს სწერთ სპიკერს, თუ დიდი საიდუმლო არ არის.

— მაგალითად, ზოგჯერ შევახსენებ იმას, რაც შესაძლოა მას კარგად ახსოვს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ზედმეტი არ იქნება, თუ შევახსენებ. ზოგჯერ, როდესაც საჭიროება მოითხოვს, ვუძებნი შესაბამის მუხლს კანონში სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, ჩვენს დროებით რეგლამენტში, ხანდახან, როდესაც მეჩვენება, კამათის შეწყვეტაა საჭირო, ვწერ, რომ უპრიანი იქნება კენჭისყრაზე გადასვლა. აი, ამგვარ საკითხებზეა ჩემი ბარათები.

— ესე იგი, ჩუმად ყოფნა, მარტო დაძაბულ მოსმენას არ ნიშნავს.

— არა, დაძაბულ გონებრივ მუშაობას ნიშნავს.

— რომელი მუშაობა უფრო ძნელია — პარლამენტის სხდომის დროს თუ შემდეგ?

— დატვირთვის თვალსაზრისით სხდომის შემდგომი მუშაობა გაცილებით მეტია. მაგალითად, გუშინ დილის ცხრის ნახევრიდან საღამოს 9 საათამდე ვამზადებდით დღევანდელ სხდომას. ორივე კი საკმარისად დაძაბულია და, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკოსი ვარ, ძალიან ძნელია შედარების გაკეთება.

საუბარი დამთავრებული გვქონდა, როდესაც ქალბატონმა რუსუდანმა სიცილით შემახსენა ამ 35 წლის წინ უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთში ჩემი, კრიტიკული პათოსით გამსჭვალული წერილი, სადაც ეჭვს გამოვთქვამდი — შეძლებდა კი იგი, ნიჭიერი სტუდენტი, მომავალი ლექტორი სტუდენტებთან საბჭოთა ახალგაზრდის მორალზე საუბარს.

ვაღიარებ, ცოდვილი ვარ, ქალბატონო რუსუდან!

გალინა ხარებაშვილი.
არმაზ სანებლიძე.
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტები.

ტყვარჩელი ქართულ ავიაციას არ დაუბომბავს!

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრის განცხადება

უკანასკნელი დღეების განმავლობაში აფხაზური საინფორმაციო საშუალებები გუდაუთიდან სისტემატურად გადასცემენ განცხადებას, რომ ქართული ავიაცია ბომბავს ქალაქ ტყვარჩელს და ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ქალაქი ტყვარჩელი ქართულ ავიაციას არ დაუბომბავს. უფრო მეტიც, უკანასკნელი კვირეების განმავლობაში არცერთი ქართული სამხედრო თვითმფრინავი ცაში არ აფრენილა. ხდება კი პირიქით, სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებს სისტემატურად ბომბავენ რუსეთის ავიაცია და აფხაზთა არტილერია, რის შედეგადაც, უკვე დაღუპული და დაჭრილია რამდენიმე ათეული ქართველი, რუსი, აფხაზი თუ სხვა ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქე. ცილისწამებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს საფუძვლად. როგორც ცნობილია, ბოლო დღეების მანძილზე მიმდინარეობს წარმატებითი სამხედრო ოპერაციები აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი მოთარეშეების წინააღმდეგ კინდღა-ტამიშ-ლაბრას მიმართულებით. ამასთან 7 დეკემბერს მოსკოვში გრძელდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ფართო ხელშეკრულების დადების თაობაზე. აფხაზი სეპარატისტები გრძნობენ რა, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო მარცხის გარდაუვალ მოახლოებას, გამალებით ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას და ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ქართველების ბარბაროსებად წარმოჩენას. სინამდვილეში კი საქმე პირიქით არის. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრი მზადაა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რანგის კომისიასა თუ კერძო პირს წარუდგინოს უცილობელი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ მოწინააღმდეგე მხრიდან ომის წარმოების საერთაშორისო წესების დარღვევასა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინასწარ გამიზნულ განადგურებას.

მალე საქართველოში ისრაელის საელჩო გაიხსნება

1992 წლის 7 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი პეტრე ჩხეიძე შეხვდა რუსეთის ფედერაციაში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ ხაიმ ბარლევსა და საელჩოს მრჩეველ მდივანს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებში ბატონ მარი კორენს. შეხვედრა გაიმართა ისრაელის ელჩის ინიციატივით.

ბატონმა ელჩმა წარადგინა ისრაელის სახელმწიფოს დროებითი რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში ბატონი მარი კორენი და გამოთქვა იმედი, რომ მალე საქართველოში საელჩოც გაიხსნება. მან ჩამოიტანა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ა. ჩიკვაიძისთვის განკუთვნილი წერილი.

ბატონმა ელჩმა განაცხადა, რომ თბილისში ჩამოვა ამერიკა-ისრაელის ერთობლივი დელეგაცია ბატონ აბრაამ კაცოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ისრაელის სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის ექსპერტები და ამერიკელი ეკონომისტები, რომლებიც დაეხმარებიან საქართველოს რესპუბლიკას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კონკრეტული პროექტების განხორციელების საქმეში.

საუბრის დასასრულს ბატონმა ელჩმა მადლობა გადაუხადა ბატონ ჩხეიძეს საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის შესახებ დაწვრილებითი ნაამბობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ისრაელ-საქართველოს ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდება.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი.
ქ. მოსკოვი.

რეპორტაჟი აფხაზეთიდან



ძნელი ომი

აფხაზეთში ომი გრძელდება. რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდება. აფხაზი ექსტრემისტები, რომლებსაც დაქირავებული კონფედერატები ეხმარებიან, კვლავ ცეცხლს უშენენ ქართული ჯარების პოზიციებს, არ ინდობენ არც მშვიდობიან მცხოვრებთ და ქალაქის უბნებს.

აფხაზეთიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები ბრძოლის მიმდინარეობაზე.

სურათებზე: ხანძარი მოსდებია უბნებს, რომლებიც ჰაერიდან დაბომბეს; საბრძოლო საგუშაგოზე; შესვენება ბრძოლის შემდეგ.

გურამ მგალობლიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გიყვარდეს საქართველო— ნიშნავს, რომ რაღაცით წაადგე მამულს

ლევან დოლიძე

რამდენიმე დღის წინ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო მოულოდნელი საჩუქარი — თანამედროვე ჯავშანჟილეტების დიდი პარტია, რომელთა ღირებულება სამ მილიონ ნახევარ მანეთს აღემატება. სამინისტროს საჩუქარი გამოუგზავნა ერთ-ერთი კომერციული ფირმის გენერალურმა დირექტორმა თბილისელმა ზურაბ კვინიკაძემ, ახალგაზრდა ქართველმა ბიზნესმენმა, რომელმაც კომერციის ასპარეზზე მიმდინარე წლის დამდეგს შედგა ფეხი. ესოდენ გულუხვი საჩუქრის ადრესატი შემთხვევით როდი იყო შერჩეული. აქამდე ზურაბ კვინიკაძე ხომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო, ხოლო მამამისი, პოლიციის პოლკოვნიკი სულიკო კვინიკაძე ამჟამად სამინისტროს ცენტრალური აპარატის ერთ-ერთი განყოფილების თავკაცია.

დღეს რესპუბლიკა უმძიმეს მდგომარეობაშია. პრაქტიკულად ცხოვრების ყველა სფეროში, სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში დაგროვდა მრავალი პრობლემა, რომლებიც მართლაც რომ მყისიერ გადაწყვეტას მოითხოვენ. ამ გადაწყვეტებს კი, თავის მხრივ, სჭირდება გარკვეული ფინანსური დაბანდებანი, რაც რესპუბლიკას ყოველთვის არ ძალუძს. გარდა ამისა, არის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც მუდმივ განუხრელ ყურადღებას საჭიროებენ.

ერთ-ერთი მათგანია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ვერც მთლიანად რესპუბლიკა ვერ გადაწყვეტენ დღეს მთლიანად ამ პრობლემებს. სწორედ აქ უნდა გამოიღონ ხელი ჩვენმა ბიზნესმენებმა, რომელთა საქმიანობის სფერო სცილდება არა მარტო საქართველოს ფარგლებს, არამედ ყოფილ სსრ კავშირის საზღვრებსაც.

ზურაბ კვინიკაძემ, რომელსაც კარგად ესმოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრობლემები, გამონახა შესაძლებლობა გამოეყო კომერციული ფირმის შემოსავლიდან საქართველოს პოლიციისათვის სამ მილიონ-ნახევარი მანეთი. და არა მარტო გამოეყო, არამედ დახმარებოდა კიდეც სამინისტროს, შეეძინა ამ თანხით საჭირო ჯავშანჟილეტები.

ზურაბ კვინიკაძის კეთილშობილური პატრიოტული საქციელი ყოველგვარი მიბაძვისა და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი უღრმესი მადლიერების ღირსია. ახალ ჩასახული ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს მართებთ გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა და მოქმედება, რითაც დიდად შეუწყობდნენ ხელს მშობელ ქვეყანას. მათ დღეს უკვე ძალუძთ გადაწყვიტონ საქართველოსთვის მთელი რიგი ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელთა გადაჭრას სახელმწიფო ყოველთვის ვერ ახერხებს.

სათქმელი უნდა ითქვას

წესრიგი ძლიერებაა!

ანზორ თოთაძე

ყველგან საჭიროა

ნებისმიერი ერის კულტურა, სულიერი მიღწევები, მისი ეკონომიკური განვითარებითა და წინსვლით არის განპირობებული. დიდი ილია ბრძანებდა: „აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის... ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა, თავი და ბოლო ერის წინსვლისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინ და გარეთ დამოუკიდებლობისა მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ღონიერებაა, უამისოდ იგი ერთ ბიჯსაც ვერ გადადგამს, რაც გინდა სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის".

ყოველივე ეს უნდა გაისიგრძეგანოს თითოეულმა ჩვენგანმა, უნდა დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ რაც გვჭირს, უნდა შევიგნოთ ის სავალალო მდგომარეობა, რომ რესპუბლიკაში საწარმოთა უმეტესობა არ მუშაობს და ქვეყანა დაღუპვის პირამდეა მისული, რომ ამოწურულია სტრატეგიული რესურსები, ურომლისოდაც ვერავითარ კვების პროდუქტს ვერ შემოვიტანთ. ცხოვრების უაღრესად გაძვირების პირობებში, მოსახლეობას რაც ჰქონდა, ისიც შემოელია და თუ საქმეს დროზე არ დავადგებით თავი, მალე შიმშილის წინაშე პირისპირ აღმოვჩნდებით, თუ უკვე არ აღმოვჩნდით.

თუ გვინდა, გადარჩეს ჩვენი ქვეყანა, უნდა ვიკმაროთ უმოქმედობა, რაღაცის ლოდინი. კარგი ცხოვრება თავისით არ მოვა და ქვეყნის ბედზეც მთელმა ერმა უნდა იზრუნოს.

თუ გვინდა, დემოკრატიული ქვეყანა ავაშენოთ, ჩვენს დანგრეულ სახალხო მეურნეობას უნდა მივხედოთ, ავამაღლოთ დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა და, რაც მთავარია, დავამყაროთ წესრიგი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში გარკვევით აღნიშნა: „საჭიროა ეკონომიკურად და სოციალურად დესტაბილიზებულ ყოფიერებაში, ცივილიზებული, დემოკრატიული წესრიგის შეტანა". ნამდვილი დემოკრატია სწორედ ამას გულისხმობს, სწორედ კანონისადმი უდიდეს პატივისცემას მოითხოვს, როდესაც ქვეყანაში წესრიგია, ეს მის ძლიერებაზე მეტყველებს. წესრიგისა და მკაცრი შინაგანი დისციპლინის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობაში თუნდაც მცირე ძვრების მოხდენა, თვალსაჩინო სულიერი ღირებულებების შექმნა, და, რაც მთავარია, უნდა ვისწავლოთ დროის ფასი. კაცმა უნდა მოასწროს მისთვის ბუნების მიერ ნაბოძებ დროში საკუთარი თავის გამოვლენა ისევე თავისი პიროვნების, ოჯახისა და ერის საკეთილდღეოდ. გოეთეს სიტყვებია: „დროს გაუფრთხილდი! იგი ისე სწრაფად მიფრინავს, რომ თუ წესად არ შემოიღებთ მკაცრ დისციპლინას, ვერას გახდებით".

დღეს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან მხოლოდ მკაცრი, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, წესრიგი გამოგვიყვანს. მაგრამ ჯერ კიდევ ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, მაკონტროლებელი ორგანოები საერთოდ არ მოქმედებენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სახელმწიფოს არსებობის მთავარი წყარო — საგადასახადო სისტემა მოშლილია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი გადასახადების სწორად გადახდის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური ცხოვრება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია სახელმწიფო (ფედერალური) ბიუჯეტი, რომლის ძირითადი შემოსავალია ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები. გადასახადის გადაუხდელობის ან შეგნებულად არასწორად გადახდის შემთხვევაში, გამოიყენება უმკაცრესი სანქციები, რაც სასამართლო სარჩელის გამოყენებასაც გულისხმობს.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას სხვა გზა და მიმართულება ეძლევა, მით უმეტეს, როდესაც მთლიანად იცვლება მეურნეობრივი სისტემაც. ამ ვითარების გათვალისწინებით, უნდა შევიმუშაოთ ეროვნულ სტრუქტურებზე დაყრდნობილი ეკონომიკური კონცეფცია და მთელი ჩვენი ძალა მის პრაქტიკულ განხორციელებას, დემოკრატიის ფართოდ განვითარებას მოვახმაროთ.

მოვერიოთ საკუთარ თავს

ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისტორიული, გადამწყვეტი მომენტი, როდესაც განსაკუთრებით საჭიროა მთელი ეროვნული ძალების შეკავშირება, ერთიანი სწორი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება. ახლა სწორედ ასეთი მომენტი გვიდგას. მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ თავს გვახსენებს ჩვენი ეროვნული სენი და საერთო საქმეს, იმის მაგივრად, რომ სწორი გზა და მიმართულება მივცეთ, სხვადასხვა მხარეს ვეზიდებით. ზოგჯერ პირადული ისე ძლიერად გვახსენებს თავს, რომ ოპოზიციონერობა ავადმყოფობაში გადაგვეზარდა. არადა, ახლა ყველაზე მთავარია ეროვნული საქმეები ვაკეთოთ და არა ის ვარკვიოთ, ვინ უფრო დიდი ამირან-დარეჯანის ძეა. აქ, ალბათ, პლუტარქეს შემდეგი მონათხრობის გახსენებაც ღირს: სპარტელი პედარეტი არ აირჩიეს სამასთა საბჭოში. სახლში იგი სახეგაბრწყინებული და გახარებული დაბრუნდა; საყვარელ ქალაქს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო.

საერთო საქმისათვის უაღრესად საზიანოა ისიც, რომ ჩვენს ეროვნულ საქმეს არც ისე იშვიათად ხელმოცარული, განაწყენებული, „მსუქანი ჯამაგირის" მოყვარული, მედროვე, თანამდებობის მაძიებელი და აშკარად დამნაშავეობის სამყაროს წარმომადგენლებიც ეტმასნებიან. მათ მხოლოდ პირადული ზრახვები ამოძრავებთ და აქტიურობაც არ აკლიათ. ისინი შორს დგანან ნამდვილი ეროვნული სატკივარიდან და ყოველივე ეროვნულს მხოლოდ საკუთარი ჭუჭრუტანიდან უყურებენ. მათი ეროვნული გრძნობები აშკარად ყალბია და ისინი აკაკი წერეთლის „პატრიოტის აღსარების" პერსონაჟს უფრო მოგვაგონებენ, რომელთაც არ შეუძლიათ, [illegible] ყურება ისე, თუ მისი პატრიოტული [illegible] არ აევსოთ. მათ „საკუთარი საპირადო ბაზი და ლარი გამყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ". დღეს, როდესაც ჩვენი ერი თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის დიდ და ნათელ გზაზე მსვლელობას დაადგა, ასეთებისაგან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვთავისუფლდეთ, რადგან, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „ვინც წვერს მოუშვებს, ყველა [illegible] როდია".

დემოკრატიის გაფართოების პირობებში, ადვილი არ არის დაგროვილი ეროვნული და სხვა უამრავი მწვავე პრობლემის ერთბაშად სწორად აღქმა და გაანალიზება. ამასთან, ყველას როდი აძლევს ხელს სიახლე, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, დემოკრატიასაც ზოგიერთმა მხოლოდ პირადი, ამბიციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალით შეხედა, რაც ხელს უშლის დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომ გაფართოებას. ცნობილია, მაგალითად, ძველი ბერძენი მოღვაწის ლიკურგეს პასუხი ერთი კაცისადმი, რომელიც ურჩევდა სპარტაში დემოკრატია დაამყარეო: „ჯერ შენ სცადე, შენს ოჯახში დაამყარო დემოკრატიაო".

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ამჟამად, უაღრესად სწრაფად მიმდინარეობს მარადიულად მიჩნეული მოვლენებისა და ღირებულებების გადაფასება. ის, რაც გუშინ უცილობელ ჭეშმარიტებად მიგვაჩნდა, დროის წისქვილმა ჩამოფქვა. ასეთ ვითარებაში არ არის ადვილი, ყველაფრის სწორად განსჯა, მით უმეტეს, საკუთარი რწმენის უარყოფა. ამ ადამიანებსაც გაფრთხილება სჭირდებათ და არა ისეთი გაქილიკება, როგორსაც ზოგჯერ ჩვენს პრესაში ვაწყდებით.

ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა

წესრიგი იმასაც გულისხმობს, რომ ხმაურისა და აურზაურის ატეხვის გარეშე ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე. რაღაც საოცარი სენი შეგვეყარა: თუ რამეს ვაკეთებთ, აუცილებლად გვინდა ქვეყანამ გაიგოს. დავკარგეთ ზომიერების გრძნობა. თვით პარლამენტის სხდომებზეც კი იგრძნობა ის, რომ ზოგიერთი დეპუტატი გამოსვლისათვის გამოდის. საოცარი თვითდაჯერება და სხვისი აზრის უპატივცემლობა თვით ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც გამოჩნდა. აქაც ზოგჯერ საერთო ეროვნული საქმის საზიანოდ პირადული ზრახვებით ვხელმძღვანელობთ. ვფიქრობთ, სამწუხაროდ, პარლამენტის მუშაობის დასაწყისშივე მკვეთრად გამოიკვეთა კონფრონტაცია. არც ისე იშვიათად, ის, რაც ცხადზე უცხადესია ან, ყოველ შემთხვევაში, რაზეც სახელმწიფოს მეთაური ამომწურავ და დამაჯერებელ განმარტებას იძლევა, მაინც ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის საგანი ხდება. ცდილობენ, „ქვიშისაგან თოკი დაგრიხონ" და ყველაფერი პროკრუსტეს სარეცელზე მოათავსონ. ამ საოცრად რთულ და საშიშ ვითარებაში ძვირფასი დრო, რომელიც დღეს, და ისიც საჩქაროდ, საქართველოს მთლიანობაზე ზრუნვას უნდა მოხმარდეს, ზოგჯერ ფუჭად იკარგება.

თუ წინა თაობების ნამოღვაწარს ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ეროვნული საქმის კეთება მათი შინაგანი მოთხოვნილება იყო და ისინი ამისათვის არავითარ დიდებასა და სახელს არ ეძებდნენ. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა საქმიანობა ამის ნათელი დადასტურებაა. გაკეთებული საქმე კაცს თავისთავად გამოაჩენს. ესეც ქართველი კაცის ხასიათშია გაცხადებული: ძველი ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები ერიდებოდნენ კიდეც თავისი სახელის მოხსენიებას. ამიტომაა, რომ სხვადასხვა ეპოქის ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის შესანიშნავ ძეგლებზე ავტორის სახელი მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ძველ ქართველ ოსტატებს არ ესმოდათ თავიანთი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ან არ ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი უდიდეს განძს — ეპოქალურ ძეგლებს ქმნიდნენ. მათ ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, თუ რა შემოქმედებითი გენის პატრონები იყვნენ, მაგრამ „ბინდისფერი სოფლისა" და საერთოდ, „სიბრძნის დარგის" ყველა ოსტატმა უპირველესად ის იცოდა, რომ „მშრომელი წარვალს და ნაშრომი [illegible]". ისინი ქმნიდნენ უჭკნობი სილამაზისა და შთამაგონებელი ძალის ეპოქალურ ძეგლებს, მაგრამ მთავარი მათთვის მაინც ერთ ძველ ქართულ ხელნაწერზე გაცხადებული მრწამსი იყო: „მშრომელთა ხელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების". ასე ესმოდათ მათ ქვეყნის სიყვარული და სამსახური. მართლაც, ბევრი რამ გვაქვს სასწავლი ჩვენი წინაპრებიდან.

არ არის პატარა საქმე

მეტად მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია ის, რომ ჩვენისთანა მცირე ქვეყანას სახელმწიფო მეთაურად მსოფლიოში დიდად ცნობილი და აღიარებული პიროვნება ჰყავს, რომლის აზრს ყურს უგდებენ და ანგარიშს უწევენ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში. ასეთი შემთხვევა საუკუნეების მანძილზე ჩვენისთანა მცირე რაოდენობის ერს ერთხელ, ხოლო ზოგჯერ საერთოდ არ ეძლევა. ახლა გულახდილად ვთქვათ: ვიყენებთ კი ამ შესაძლებლობას? ხომ ცნობილია, რომ ის მჭიდრო კავშირები, პირადი ურთიერთობები, რომლებიც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აქვს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ბიზნესმენებთან უაღრესად მნიშვნელოვანია და, მაშასადამე, დიდი სარგებლობის მომტანი ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ თუ ქვეყანა არ დაწყნარდა და დამშვიდდა, ისე ლაპარაკიც ზედმეტია დახმარებაზე, რაიმე სერიოზული ეკონომიკური ინვესტიციების მოზიდვასა და ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების დადებაზე. როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში აღნიშნა, თუ მოვწესრიგდებით, თუ ვიცხოვრებთ ისე, როგორც ნორმალური ხალხი და ნორმალური ერები ცხოვრობენ, ჩვენ კიდევ უფრო დიდ დახმარებას მივიღებთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნებისაგან. დრო კი მიდის, იცვლება მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე პიროვნებები, და რაც სასარგებლო საქმე შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნისათვის დღეს გაკეთებულიყო, ხვალ შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს და ვეღარ გაკეთდეს.

ახლა, როდესაც უცხოელებმა გვცნეს, სამწუხაროდ, საჭირო გახდა ერთმანეთიც გავიცნოთ. თავი იჩინა ჩვენმა უკურნებელმა სენმა — ერთმანეთის გაუტანლობამ და ქიშპობამ. უწესრიგობა და ქაოსი ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. იმ პირობებში, „როცა თვითნებობს ყოველი კაცი" ძნელია წესრიგის დამყარება. მომრავლდა გაურანდავი პოლიტიკოსები. ყველა თავის აზრს უცილობელ ჭეშმარიტებად ასაღებს. ზოგიერთს მიაჩნია: თუ მიტინგზე ბევრი იყვირა, „ქუჩაში აკრეფილი სწავლა-განათლებით" ახლა უფლება აქვს დამოძღვროს ქართველი ხალხი, თანაც, არც ისე იშვიათად დამუქრებით. ზოგს ავიწყდება, რომ გაუთავებელმა მიტინგებმა და შიმშილობებმა, გაფიცვებმა და კარის აჭედვებმა რა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მაშინ არაერთმა და ორმა ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გაუთავებელი და გადამეტებული მიტინგებისა და შიმშილობების შესახებ, მაგრამ სხვადასხვა პარტიების ლიდერები აინუნშიაც არ აგდებდნენ მათ გაფრთხილებას. ყველაფერში პირველი და გამორჩეული უნდა ვყოფილიყავით და პირველობას ვეწირებოდით. ის კი არ გვინდოდა გაგვეგო, რომ ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქვეყანაში არეულობის, ქაოსისა და უწესრიგობის გამეფებას, ჩვენი ეკონომიკის გაჩანაგებას, ხალხმა ესეც შესანიშნავად დაინახა. ჩვენი უცხოელი თანამემამულენიც კი გვაფრთხილებდნენ მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ. აი რას წერდა, მაგალითად, 1989 წელს პარიზში მცხოვრები მიხეილ ქავთარაძე: საქართველო სახეს იღებს „ერთი დიდი თეატრისა, რომლის სცენაზეც შერეკილები რეჟისორობენ დადგმას საქართველოს ტრაგედიისას".

ვიდრე ვიტყოდეთ, ვიფიქროთ

ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის ალბათ პარლამენტარების უმრავლესობა იურისტები, ეკონომისტები და პოლიტოლოგები უნდა იყვნენ. ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელ ჩვენს პარლამენტში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ადრინდელ პარლამენტთან შედარებით, სადაც პირველი ვიოლინო ხელთ ეპყრათ მხოლოდ ფილოლოგებსა და ჟურნალისტებს, ე. წ. ჰუმანიტარებს — ასათიანს, პეტრიაშვილს, ჭორიძეს, წულეისკირს, კალაძეს, ტალიაშვილს და სხვებს, დღევანდელი პარლამენტი გაცილებით იმედის მომცემია. სწორედ ამის გამოც იყო, რომ წინა პარლამენტში საკითხები მხოლოდ ემოციურ და არაპროფესიონალურ დონეზე წყდებოდა. ყოველივე ამან, სხვა რამეზე რომ არაფერი ვთქვათ, იქამდეც კი მიგვიყვანა, რომ როდესაც ყოფილმა პრეზიდენტმა ნოდარ დუმბაძეს, ნათელ და პატიოსნებით სავსე მწერალს, ქურდების იდეოლოგი უწოდა, ამ უზნეობას კმაყოფილებით შეხვდა ზემოთდასახელებული ზოგიერთი „ჰუმანიტარი", ხოლო ზოგმა დუმილი არჩია, მაგრამ როგორც პოეტი მუხრან მაჭავარიანი (ბატონი მუხრანიც პარლამენტის წევრი გახლდათ) აღნიშნავს: „ვინც დუმს, — ის უფრო ტყუის!" ყოველ შემთხვევაში, ამ უზნეობის მიმართ პროტესტი მაშინ, თითქმის არავის გამოუხატავს. ასე რომ, მართლაც, ყველა ტყუოდა სულმნათ ნოდარ დუმბაძის ხსოვნის წინაშე (ლათინური გამოთქმაც დაავიწყდათ: „მკვდრებზე ან კარგი, ან არაფერი").

უკანაც უნდა მოვიხედოთ

მკაცრი კონტროლი უნდა დავამყაროთ იმ პროდუქციაზე, რომელიც თურქეთში გაგვაქვთ. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრ ქართველს რომ შეეძლოს საქართველოს ზურგზე

(დასასრული მე-3 გვ.).

„კონტაქტის" ტელეტაიპიდან

გახსნილია ლტოლვილთა შტაბი

ქუთაისი აფხაზეთიდან გამოხიზნულ ასობით ოჯახს მფარველობს. გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეთა მიმართ თანადგომისა და მზრუნველობის ნიმუში იყო ქალაქის 29-ე სკოლაში გამართული შეხვედრა, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა მიიწვიეს სოხუმელი და ოჩამჩირელი გოგო-ბიჭები მათ მშობლებთან და ახლობლებთან ერთად. შეხვედრაზე ბევრი გულთბილი და გამამხნევებელი სიტყვა უთხრეს პატარებს სკოლის დირექტორმა აბესალომ ბალანჩივაძემ და პედაგოგებმა. შეკრებილებს აუწყეს, რომ სკოლაში გახსნილია ლტოლვილთა შტაბი და ყველაფერი კეთდება მათ დასახმარებლად. შეხვედრის შემდეგ ლტოლვილებს დაურიგეს თბილი ტანსაცმელი, სასკოლო ნივთები და აღუთქვეს, რომ მომავალშიც არ მოაკლებენ ყურადღებას.

●

„მანდილის" ქველმოქმედება

აჭარაში გრძელდება რესპუბლიკის თავდაცვისა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა ფონდებში თანხების გადარიცხვა. აჭარის ქალთა დამოუკიდებელმა საქველმოქმედო ასოციაციამ „მანდილმა" ორივე ფონდში 55 ათასი მანეთი შეიტანა. ხელვაჩაურის ბურკომბინატმა აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის 20 ათასი მანეთი გაიღო. ქედის რაიონის კულტურის განყოფილებამ — 10 ათასი მანეთი, ბათუმის ხის გადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა ლტოლვილებისათვის პირადი დანაზოგიდან 10 ათასი მანეთი, ხოლო თავდაცვის ფონდში 8 ათასი მანეთი ჩარიცხა. გარდა ამისა აფხაზეთში ქართველ მეომრებს გაუგზავნა მედიკამენტები და თბილი ტანსაცმელი.

●

გადამყიდველები მძლავრობენ

ახალქალაქის რაიონი კარტოფილის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელია საქართველოში. აქ ამ კულტურას მთლიანად 5 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია, ჰექტარზე საშუალოდ 250-300 ცენტნერამდე კარტოფილი მოჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის დიდი ნაწილი აუღებელი დარჩა, როგორც მოსახლეობას, ისე საზოგადოებრივ მეურნეობას დიდძალი კარტოფილი გააჩნია, რომელიც საჭიროებს ქალაქამდე მიტანას. მოსახლეობას ეშინია ბაზრებში კარტოფილის მიტანისა, სადაც იგი თითქმის დაუცველია. ამას წინათ ახალქალაქის რაიონის სოფელ იხტილის მცხოვრები კომიკ სამველიანი სამტრედიის ბაზარში შედარებით იაფად ყიდდა კარტოფილს. ადგილობრივმა გადამყიდველებმა მას ნავაჭრი თანხა და საკუთარი პირნახული წაართვეს და ბაზრიდან გამოაძევეს. ჩვენი მოსახლეობა საზღვარგარეთიდან ელოდება დახმარებას. ჩვენი მოწეული პირნახული კი მოსახლეობამდე ვერ მიგვიტანია, — უთხრეს ჩვენს კორესპონდენტს აქაურმა მცხოვრებლებმა. არადა, ახალქალაქის რაიონში მოწეული მოსავალი რესპუბლიკის გარეთ გააქვთ და იქ მამასისხლად ყიდიან.

●

აბრეშუმის პარკი საწყობებში

7 მილიონი მანეთის 10 ტონამდე აბრეშუმის პარკი აწყვია ამჟამად თერჯოლისა და ზესტაფონის გრენაჟის ქარხნების საწყობებში. პარკის მაღალი თვითღირებულების გამო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უარს ამბობენ მის გადამუშავებაზე. არადა, ეს ძვირფასი ნედლეული ყოველდღიურად სასაქონლო სახეს კარგავს. ორივე რაიონის მეაბრეშუმეები სამართლიან პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ დღემდე არ მიუღიათ პარკის წარმოებისათვის ფულადი ანაზღაურება, მაშინ, როცა ეგი უნდა მიეღოთ მიმდინარე წლის ივლისისათვის. ამ ხნის მანძილზე მანეთის კურსი ერთი ხუთად შემცირდა, რის გამოც მეაბრეშუმეები მოითხოვენ სათანადო კომპენსაციას. ვფიქრობთ, მათი მოთხოვნა სრულიად სამართლიანია.

●

მეომართა დასახმარებლად

ოზურგეთის რაიონის მშრომელები შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ ქართველ მეომართა დასახმარებლად, საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად. დღემდე აფხაზეთში ერთ-ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სურსათი და მედიკამენტები აქვთ გაგზავნილი. ამჟამადაც გრძელდება სურსათის, მედიკამენტების, თბილი ტანსაცმლის გაგზავნა: მათ სამხედრო დანიშნულების პროდუქციითაც ეხმარებიან. ქართული მიწის მთლიანობის დამცველ მებრძოლთა შორისაა ოზურგეთის გვარდიის ბატალიონიც. რაიონის საკრებულოს შენობაში მოდიან მოხალისეები და რეზერვისტები. ისინი ეწერებიან ფრონტზე წამსვლელთა სიაში.

წესრიგი ძლიერებაა!

(დასასრული)

მოიკიდებდა და თურქეთში გაყიდდა. დღეს თურქეთში გააქვთ მირითადად დატაცებული სტრატეგიული დანიშნულების პროდუქცია: ფერადი ლითონები, სხვადასხვა სახეობის მანქანები, ჩარხები, ხე-ტყე, კერძოდ, იგივე დეფიციტური პროდუქცია, რომლის წარმოება ჩვენ ჯერჯერობით თითქმის აღარ შეგვიძლია. საზღვარგარეთ შემოაქვთ ძვირადღირებული ტანსაცმელი, საღეჭი რეზინი და სხვა ამგვარი საქონელი, რაც არაფერს მატებს საქართველოს ეკონომიკას, მის ძლიერებას. მეტად სავალალოა, ის, რომ ჩვენი ქვეყანა კარგავს არა მარტო სპილენძს ლითონის სახით, არამედ ზარალი გაცილებით დიდია: სპილენძის დატაცების შედეგად მწყობრიდან გამოდის ტრანსპორტი, უაღრესად ძვირადღირებული მანქანა-დანადგარები, კავშირგაბმულობის მოწყობილობა, ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს ისედაც გაღარიბებულ და მოშლილ ეკონომიკას.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის დოვლათი მარტოოდენ თურქეთში როდი გააქვთ. ბევრი ისეა გადაგვარებული და ყოველგვარ ეროვნულ გრძნობას მოკლებული, რომ არად დაგიდევთ ჩვენი თანამემამულეების უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნას და საწვავი, ფქვილი, ხე-ტყე და სურსათი გააქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანში. სპეციალური შეიარაღებული ფორმირებები აცილებენ აღნიშნული პროდუქციით დატვირთულ მანქანებს დანიშნულების ადგილებამდე. პროდუქტები გააქვთ აგრეთვე, ცენტრალური ტრასის გვერდის ავლით. ამ დროს კი საწვავის უქონლობის გამო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ვერ აგვიღია და ბეღელში ვერ დაგვიბინავებია, [illegible] და ისიც ესოდენ დაძაბულ და საომარ პირობებში სამშობლოს ღალატის მეტს ვერაფერს დაარქმევს კაცი. მსგავს ანტიეროვნულ აქციებს მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს შესაბამისმა ორგანოებმა და მთელმა საზოგადოებამ. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: სარფის საბაჟოში რომ არ ხერხდებოდეს სპილენძის გატანა, მაშინ არც სპილენძს მოიპარავდა ვინმე და უამრავ დანაშაულებათა ფაქტებსაც თავიდან ავიცილებდით.

„დიდი საქმე არ გვარდება ერთბაშად“

დღეს ჩვენში ბევრს მსჯელობენ რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხზე. ერთი რამ ცხადია: რუსეთის ჯარის გაყვანა სურს ყველას — ფილოლოგსაც, ჟურნალისტსაც, მწერალსაც, იურისტსაც, ეკონომისტსაც და პოლიტოლოგსაც. მაგრამ თუ ე. წ. ჰუმანიტარებისათვის რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხი ძირითადად ემოციების სფეროში რჩება, იურისტის, ეკონომისტისა და პოლიტოლოგისათვის უფრო ნათლად ჩანს ის შედეგებიც, რაც ერთბაშად და დაუყოვნებლივ რუსეთის ჯარის გაყვანას მოჰყვება. არ შეიძლება მიტინგებზე ვწყვეტდეთ ყველა საკითხს. როდესაც ემოციები იკავებენ ინტელექტის ადგილს, იქ ჭეშმარიტებას არაფერი ეშველება. როდესაც მოვითხოვთ რუსეთის ჯარების სასწრაფოდ გაყვანას, კარგადაც უნდა დავფიქრდეთ და გავერკვეთ, რა მოჰყვება ამას. ყოველგვარი მოთხოვნა თუ ლოზუნგი მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა იყოს განპირობებული და ნურავის ჰგონია, რომ ხალხი ვერაფერს ხედავს და სწორ დასკვნებს ვერ აკეთებდეს. როდესაც რუსეთის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოვითხოვთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ჩვენ არ გვყავს არმია, დაუცველია ჩვენი ქვეყნის სამხედრო სივრცე, საზღვრები და პასუხს მათ დაცვაზე აგებს აქ დისლოცირებული შესაბამისი სამხედრო ნაწილები. მეტად ანგარიშგასაწევი საკითხია ისიც, შევძლებთ კი იმ სამხედრო ტექნიკის მართვას და, მაშასადამე, გამოყენებასაც, რომელიც რუსეთმა უნდა გადმოგვცეს, სათანადო სპეციალისტების მოუმზადებლად?

ქართველს, მართალია, არავინ დასწამებს სამხედრო ხელოვნების დიდებულებისადმი გულგრილობას, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ გარკვეული მოსაზრებების გამო, საბჭოთა ჯარში ხელოვნურად აბრკოლებდნენ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების დაწინაურებას და ქართველი ფაქტობრივად ველარ იღებდა მაღალ სამხედრო წოდებას? ასეთ პირობებში, ქართველმაც, უპერსპექტივობის გამო, ბუნებრივია, ზურგი შეაქცია სამხედრო საქმეს. ამის შედეგად, სამხედრო სპეციალისტები თითქმის აღარ გვყავს. მათ მომზადებას კი გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ, თუ ყოველივე აღნიშნულს და ბევრ სხვა საკითხსაც გავითვალისწინებთ, საჭიროა რუსეთის ჯარს მიეცეს სტატუსი და მისი გაყვანა გადაწყდეს ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების ფარგლებში. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ვინმე მომხრე იყოს აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარის შენარჩუნებისა, რომელმაც მრავალი მწვავე პრობლემა შეუქმნა ჩვენს ქვეყანას. აქ ლაპარაკია მხოლოდ საჰაერო და სასაზღვრო თავდაცვით საჭირო ნაწილებზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ რუსეთის ჯარის გამოყვანა ერთბაშად, მიუხედავად კომპენსაციისა, გერმანიიდანაც ჭირს და ამ ნიადაგზე, რუსეთთან კონფლიქტსაც უნდა მოვერიდოთ.

უქამო ჟამი

შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, „პოლიტიკური ეკონომიის მამა“, ადამ სმითი ამ ორი საუკუნის წინ წერდა: „ადამიანი, რომელსაც არავითარი საკუთრების შეძენის უფლება არა აქვს, შეიძლება დაინტერესებული იყოს მხოლოდ იმით, რომ რაც შეიძლება მეტი ჭამოს და ნაკლები იმუშაოს. მხოლოდ ძალდატანებითი ღონისძიებებით, და არა პირადი დაინტერესებით, შეიძლება აიძულო იგი, რომ იმუშაოს იმაზე მეტი, რაც საკმარისია მისი პირადი არსებობისათვის“. მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენს ეკონომიკაში უარყოფილი იყო ეს ჭეშმარიტება. ეკონომიკა მეტად არამყარ ნიადაგზე იდგა და, ბუნებრივია, ასეთი ეკონომიკა დიდხანს ვერ იარსებებდა. ამ ეკონომიკის მასაზრდოებელი მთავარი წყარო — ენთუზიაზმი და ძალდატანებითი ღონისძიებები, დროებითი მოვლენა იყო და, ცხადია, მალე დაშრა. მოხდა ის, რაც ისტორიული აუცილებლობით იყო განპირობებული.

ახლა ჩვენთან მთლიანად იცვლება მეურნეობრივი სისტემა, გადავდივართ საბაზრო ეკონომიკაზე. ასეთი ცვლილებები, რა თქმა უნდა, გარკვეულ პერიოდში, ეკონომიკის დაქვეითებას გამოიწვევს. მით უმეტეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა როგორ იყო ჩართული ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიან სახალხო-მეურნეობრივ კომპლექსში. გარკვეულ პერიოდში, ბუნებრივია, ასევე დაეცემა, და საგრძნობლადაც, ხალხის ცხოვრების დონე.

მაგრამ ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სატკივარი როდია. მეტად რთული ვითარებაა სამაჩაბლოში. სამამულო ომი მიმდინარეობს აფხაზეთში. საკუთარ მიწა-წყალზე შუა საუკუნეების ბარბაროსული მეთოდებით ხოცავენ ქართველობას. ასეთ ქაოსსა და განუკითხაობაში, მთელი ძალით იჩინა თავი დაფარულმა ეროვნულმა მანკიერებამ. არ ცხრება შინაური და გარეშე მტერი. დღეს არავინ არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ ფიქრობდეს — ჩეჩნები, ჩერქეზები, ყაბარდოელები თუ იმიტომ იბრძვიან აფხაზეთში, თითქოს რაიმე შესაცოდებელი ჰქონდეთ აფხაზებს. აქ მოვლენები გაცილებით რთულია და იგი ცალკე მსჯელობის საგანია. ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, საკმაოდ დიდი ხანია, გულმოდგინედ მზადდებოდა.

ერთიცაა, მტრის არნახული უტიფარი თავხედობა იმანაც განაპირობა, რომ მან იცის ქართველი კაცის ბუნება, მან იცის, რომ ქართველი კაცი დამნდობია და არ შეუძლია იმ ბოროტების ჩადენა, რასაც ისინი ახლა აკეთებენ. ასე იყო ყოველთვის. ამის შესახებ, იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ვისაც მოეწადინება, მომენტით სარგებლობს და ავიწროებს, ძარცვავს, ჩაგრავს ქართველებს. ეს კიდევ ცოტაა, ისინი გაჰყვირიან, ქართველები გვძარცვავენ, გვავიწროებენ, გვჩაგრავენო.

ეს არის ბოროტგანზრახული ცილისწამება არა მარტო აწინდელი, არამედ გარდასული ქართველებზეც. ქართველები არასდროს არ იცნობდნენ ვიწრო ნაციონალიზმს, თავიანთ სამეფოში არავის ავიწროებდნენ არც სახელმწიფოებრივად, არც ენის მხრივ“.

ერთ სატკივარზეც უნდა ითქვას. ამჟამად, საქართველოში არ იგრძნობა, რომ ნამდვილი სამამულო ომია, რომ არის დიდი ნგრევა და დიდი მსხვერპლი. სამწუხაროდ, ეს სრულად ჯერ კიდევ ვერ გავიცნობიერეთ. ჩვენი ზოგიერთი თანამემამულე არად დაგიდევს სხვის გაჭირვებას და ამ ურთულეს პირობებში მოგებას დახარბებული ფასებს ხელოვნურად ზრდის. აფხაზეთში მამულის დასაცავად ოცი წლის ბიჭები სისხლს ღვრიან, იქ მათ სიგარეტები, სურსათი და თბილი ტანსაცმელი აკლიათ, აქ კი ზოგიერთი მათი თანატოლი ქურდობს, თავისივე ძმებს აწიოკებს, თავს იწონებს ძვირადღირებული სიგარეტისა და ლუდის ყიდვით, აღარ იცის, რა ჩაიცვას. ასეთებისათვის ეროვნული გრძნობის დაქვეითება ამაზე შორს ველარ წავა.

მსგავს სიტუაციებში ქართველი ხალხი ჩვენი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ყოფილა. ამ გასაჭირსაც გავუძლებთ. ეს გზაც ალბათ გასავლელი გვაქვს, მაგრამ მეტი დაფიქრება გვმართებს და იგი ისე უნდა გავიაროთ, რომ შინ, რაც შეიძლება, მშვიდობით მივიდეთ.

პოლემიკა

დიალოგში ჩართული მცდარი მონოლოგი

ჯანსუღ ჩარკვიანი.

1992 წლის 5 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა პოეტ შოთა ნიშნიანიძისა და გამსახურდიას ყოფილი მრჩევლის, გიორგი გაჩეჩილაძის დიალოგი.

მთელი დიალოგის მანძილზე, აქტიური პოზიცია რატომღაც გიორგი გაჩეჩილაძეს უჭირავს...

„რა მიზანს ისახავდა სამეგრელოში დამსჯელი ექსპედიციის გახტუმრება და საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაცია? საიდან მოდის დეზინფორმაცია აფხაზეთიდან მომავალი ქართული ჯარისა და ტექნიკისათვის სამეგრელოში გზის გადაკეტვის შესახებ? ვის სამსახურში იდგნენ თვისტომზე „გამარჯვებით“ მთვრალი „ქართველი მეომრები“?

„ვისი დავალებით უთვლიდა ამ ექსპედიციის მეომრების ერთი ფრთა მუქარასა და დედის გინებას ქუჯი ერისთავის, ცოტნე დადიანისა და ჭყონდიდელის მხარის მკვიდრთ?“ აი, კითხვები, რომლებიც აწუხებს ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს — არ გეკადრებათ ბატონო მრჩეველო, დიალოგში ამდაგვარად ჩართვა. ან ეს ყველაფერი სამწუხარო ნიმუშია „გროზნოული“ აზროვნებისა, ანდა ცდილობთ, პასუხი ყველაფერზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გაგცეთ. რომელი მხრიდან უბერავთ, ვის ადანაშაულებთ?

ჩაიხედეთ საკუთარ გულში, მაშ, გზა არავის გადაუკეტავს? მაშ, არ შეთანხმებულან ლოთი ქობალიასთან ამ უხერხულ საკითხზე? იქნებ არც ხიდები აუფეთქებიათ? იქნებ არც მატარებლები გაუძარცვავთ? ვინ ააფეთქა მუნჩიას ხიდი? ჯუმის ხიდი? ცივის ხიდი? ჭალადიდის ხიდი? ენგურის ხიდი? რატომ შევდიოდით სოხუმში ფოთის მხრიდან? თბილისიდან გალელი კაცი რატომ მიდიოდა ჯერ ფოთში, შემდეგ ოჩამჩირეში და იქიდან გალში? სხვა გზა არ იყო?

ხომ ვერ გვეტყვით, ვინ დაატყვევა საქართველოს ვიცე-პრემიერი ბატონი სანდრო კავსაძე?

ვინ მოაწყო, ჩიქოვანის ქუჩაზე სისხლიანი ტერორი და ვინ შეიღება ბინძური ხელები ბავშვების სისხლით? პოლიტიკურმა ოპონენტებმა თუ პირწავარდნილმა ბანდიტებმა?

მე თქვენი მიკვირს, პოლიტიკოსის, თორემ დღევანდელი ოფიციალური ხელისუფლების მიმტევებლობას მართლა არა აქვს საზღვარი.

ალბათ, გახსოვთ, სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემული საქვეყნოდ ცნობილი მანიფესტი, მეტი კომპრომისი გაგიგიათ? მაშ, ხომ არ აჯობებდა, დროებით მაინც არ გამოგეხატათ თქვენი მცდარი პოზიცია და ამ საშინელი ბრალდებებისათვის გვერდი აგევლოთ? მართლა გჯერათ, რომ სამეგრელოში საქართველოს მთავრობამ „დამსჯელი ექსპედიცია“ გაგზავნა? კი, მაგრამ გროზნოშიც ხომ ასე სჯერათ? (დამთხვევაა?) ვის ასწავლით სამეგრელოს სიყვარულს?

რაღაც გაურკვეველ ფსიქოლოგიაზე ლაპარაკობთ — „ამგვარმა ფსიქოლოგიამ უკვე ინერციული ხასიათი მიიღო და ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსის ცნობიერებაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაპირისპირების სახით გაფორმდაო...“ დემაგოგიას შევეშვათ, დღეს რომ ასეთ ბრალდებას კაცს წაუყენებ (თუნდაც ზოგიერთს), ის კაცი ხომ განწირულია? განა შეიძლება ვინმეს მოაფიქრდეს, რომ საქართველო ერთიანი არ არის? კი, ბატონო, ერთმა ტყეში გასულმა ბრძანა (არაერთგზის), რომ სამეგრელო ქართველების და აფხაზების პროვოკაციულ ომში არ ჩაერევაო, მაგრამ ლოთი ქობალია ხომ სამეგრელო არაა? ასეთი ქობალიები შეიძლება სხვა რეგიონებსაც ჰყავდეთ, მაგრამ მთავარი თითოოროლა კაცი ხომ არ არის? მთავარია, რას ფიქრობს მთლიანი საქართველო. (ეს თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ეტყობა, ახლა ასეა საჭირო).

„მავანმა პოლიტიკოსმა საქართველოში ორდენის დაწესებაც კი მოითხოვა სამოქალაქო ომის ენთუზიასტთა მკერდის დასამშვენებლად“-ო (ვინაა ის მავანი? იქნებ სჯობდა დაგესახელებინათ?)

ბოლოს დასძენთ. „თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ ერთაშორის ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად ყოფნის დროსო“...

გვახსოვს, როგორ არ გვახსოვს. (ვაი, იმ დროს) გვახსოვს. რომ გამსახურდიას მრჩეველი იყავით, მაგრამ რა აგრესიული ტერმინოლოგიის წინააღმდეგ ილაშქრებდით, ეს კი არ გვახსოვს, ვინც მაშინ რაიმე აგრესიის წინააღმდეგ ილაშქრებდა ის ჩვენს გვერდით იდგა და არა პრეზიდენტყოფილის სამსახურში. ან, ჩვენში დარჩეს და, რის წინააღმდეგ შეიძლო გალაშქრება გამსახურდიას მრჩეველს? არც გადანაშაულებთ, გამსახურდიას არ უნდა დასდგომოდით მრჩევლად, თორემ რამეს რომ ურჩევდით, მტკნარი სიცრუეა.

მე რომ მრჩეველი ვიყავი... მერედა, თქვენ რომ მრჩეველი იყავით და კონსტანტინე გამსახურდიას ოთხმოცდათვრამეტი წლის იუბილეს უხდიდით, გერჩიათ პრეზიდენტყოფილისათვის, ორი წელიც მოეთმინა და ქართველი ხალხი თავად გადაუხდიდა გამოჩენილ ქართველ მწერალს ნამდვილ იუბილეს, ასი წლის თავს... ალბათ, ისიც უნდა გერჩიათ იმ დროისათვის, აღენიშნა ნამდვილი და მრგვალი საიუბილეო თარიღები აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა, ვაჟა-ფშაველასი, ნიკო ფიროსმანაშვილისა, გალაკტიონ ტაბიძისა. სწორედ ამას ჰქვია ერის დასჯა, ანუ მცდელობა ერის გონებრივი დაჩლუნგებისა... გახსოვთ, ალბათ, შემდგომში სწორედ ამ უზურპაციას მოჰყვა ქართველი მწერლების წიგნების დაწვა ვერის ბაღში, ქართველ მწერალთა ყრილობის დროს.

მე არასოდეს ვცდილვარ, შემეხსენებინა თქვენი ეს, უკვე ძველი და საკმაოდ უხერხული თანამდებობა, მაგრამ საოცარია, რომ თავად სიამაყით იხსენებთ, რა გეწყობა...

თქვენ ბრძანებთ: „ერთია, როდესაც შენს პოლიტიკურ ოპონენტს თუ სამხედრო შენაერთს უწოდებ „ჯარს“ და, მეორეა, როდესაც იმავე სამხედრო შენაერთს უწოდებ „ბანდას“, ამგვარ პოლიტიკოსებს ქართველი ერი არ გაჰყვებაო“. [illegible], ესეც „გროზნოული“ აზროვნებაა, თორემ თქვენ არ გესწავლებათ, რომ ტყეში გასული ხალხი, რომელიც ოფიციალურ მთავრობას ომს უცხადებს, არავითარ „სამხედრო შენაერთს“ არ წარმოადგენს. სახელმწიფოში არსებობს ოფიციალური ჯარი, მორჩა და გათავდა. ისე, გააჩნია ვის როგორ მოსწონს, რაც ოფიციალური მთავრობისთვის ბანდაა, ის გამსახურდიასთვის „ჯარია“... (ვატყობ, ასეა თქვენთვისაც) ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ ლოთი ქობალია ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ოპონენტი იყოს; ალბათ, ჩვენ სხვადასხვანაირი წარმოდგენა გვაქვს ოპონენტებზე.

ახლა, იმ პოლიტიკოსებზე, თქვენ რომ ბრძანებთ: მავანმა პოლიტიკოსებმა საქართველოში ორდენის დაწესებაც კი მოისურვეს სამოქალაქო ომის ენთუზიასტთა მკერდის დასამშვენებლადო.

ესეც საკმაოდ დიდი ბრალდებაა, თუ საქართველოში მართლა სამოქალაქო ომია, მაგრამ ვითომ ასე შემცდარი და საქმეში ჩაუხედავი ხართ? განა არ იცით, რომ დღეს საქართველოში სამამულო ომია? დღეს საქართველოს ხომ მშობლიურ მიწას ართმევენ? დღეს ხომ საქართველოს ებრძვის: აფხაზი სეპარატისტიც, გადამთიელი ჩეჩენიც, კონფედერაციის დამპყრობლებიც და, რაღა თქმა უნდა, იმპერიულად განწყობილი [illegible]... ყოველივე ამას თუ შენ [illegible] დაერთო, რაღა თქმა უნდა, ესეც გამსახურდიას კისერზეა, იმ გამსახურდიას კისერზე, რომელსაც ან არასოდეს ჰყოლია ნორმალური მრჩეველი, ან ჰყავდა და ფეხებზე ეკიდა... (უკაცრავული პასუხია).

კვლავ შეგახსენებთ, საქართველოში სამამულო ომია, ქართველი ბიჭები სისხლს ღვრიან სამშობლოსათვის, თუ არ იცით, გეტყვით, დღეს საქართველოსათვის სისხლს ღვრის საქართველოს ყველა კუთხის შვილი, აქ არის კახელი და მეგრელი, ქართლელი და იმერელი, გურული და სვანი, აჭარელი და ფშავ-თუშ-ხევსური, მესხი და ჯავახი, რაჭველი და ლეჩხუმელი, მთელი საქართველო ერთად იბრძვის, დასავლეთი და აღმოსავლეთი, იცის მთლიანმა საქართველომ ფასი ერთგულებისა, ასე, რომ არაა საჭირო სხვათა მაგიერ ჭირისუფლობა, საქართველო ერთია, ხოლო, თითო განზე გამდგარი გზაშეცდომილი ვერაფერს დააკლებს ჭირში მყოფ საქართველოს.

მე პოლიტიკოსი არ გახლავართ. ვინცა ვარ, კარგად მოგეხსენებათ. მე დღესაც ხმამაღლა მოვითხოვ, დიახ, დღეს, ამ გაგანია ომის დროს, მოვითხოვ სასწრაფოდ დაწესდეს ჩვენი თავდადებული ბიჭების გმირობის აღმნიშვნელი ორდენი, „ერთგულების ორდენი“, „ცოტნე დადიანის“ ორდენი.

ამ შემთხვევაში, მეც მრჩეველი ვარ. ისე ღმერთმა დამიფაროს.

მე ვურჩევ საქართველოს მთავრობას, დააწესოს „ერთგულების ორდენი“.

ბატონო გიორგი, თქვენც გირჩევთ, მხარი დამიჭიროთ ამ მამულიშვილურ საქმეში... (და საერთოდ, ბევრ რამეში). მომიტევეთ, მაგრამ ეს თქვენი დიალოგი, ძალიან ჰგავს მონოლოგს, ამიტომაც არ შემეძლო პასუხი არ გამეცა...

„დიალოგმა“ დაბალი ლობე გამახსენა, დაბალი ლობის იმ ადგილს, სადაც მიჩვეულები არიან გადასვლას, გურიაში „ალაგს“ უძახიან, ხოლო ლეჩხუმში, — „საბიჯელს“, მე არც ერთი ვარ და არც მეორე...

არ მინდა ვინმეში შეგეშალოთ.

1992 წლის 7 დეკემბერი.

განგაშის ზარი!

განუკითხაობა

ანუ მიზეზები, რომლებმაც რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტი, შესაძლოა, სრულ პარალიზებამდე მიიყვანოს

მოხდა საგანგაშო შემთხვევა: თბილისის საკვანძო სადგურში დაიწვა თბომავალი. მიზეზი? — ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

არაფერს ვიტყოდით, რომ საქართველოს რკინიგზაზე ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყოს. წლევანდელი ცხრა თვის მონაცემებით, რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავ შემადგენლობაში დაშვებულია 292 წუნი, აღრიცხულია შემადგენლობის ჩავარდნის, აგრეთვე ავარიისა და მარცხის შემთხვევები.

იმავე საკვანძო სადგურში ერთმანეთს შეეჯახა სატვირთო და სამგზავრო მატარებლები, თბილისის სამგზავრო სადგურშიც საფოსტო ვაგონი ელმავალს დაეჯახა, სამანევრო თბომავალმა ლიანდაგიდან გადააგდო 12 დატვირთული [illegible]. ყველა დასახელებულ შემთხვევაში მოვალეობა ფორმალურად მოიხადეს და დამრღვევთა მიმართ მხოლოდ დისციპლინურ სასჯელს დასჯერდნენ, არავის არ განუსაზღვრავს ზარალი და არც არავის დაკისრებია მისი ანაზღაურება, სამსახურეობრივი მოკვლევის მასალები, როგორც ეს წესით უნდა ხდებოდეს, პროკურატურისთვის არ გადაუგზავნიათ.

რკინიგზაზე ფეხი მოიკიდა სხვადასხვაგვარმა დარღვევებმაც. არ ხორციელდება ტექნიკური კონტროლი, ირღვევა ელმავლების შეკეთება, ტექნოლოგიური ნორმები, მატარებლების შემადგენლობებს უბამენ ტექნიკურად გაუმართავ ელმავლებს, უსაფრთხოების თვალსაზრისით მოუწესრიგებელია სალიანდაგო მეურნეობა.

განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ბევრი გადასარბენი სიძველის გამო ავარიულ მდგომარეობაშია და დაუყოვნებელ შეკეთებას მოითხოვს. მთლიანად კი რესპუბლიკაში კაპიტალურად შესაკეთებელია 380 კილომეტრი, ანუ მთელი რკინიგზის 20 პროცენტი, ხოლო საშუალოდ შესაკეთებელია 530 კილომეტრი (30 პროცენტი). თუ წლის ბოლომდე არ შეკეთდა ქუთაის-ტყიბულის, ზესტაფონ-ჭიათურა-საჩხერეს, ნატანებ-ოზურგეთის, მარნეულ-ბოლნის-კაზრეთის, გურჯაან-თელავი, გურჯაან-წნორის, კაჯრეთ-დედოფლისწყაროს გადასარბენები, მიმოსვლა შეუძლებელი გახდება და აიკრძალება ლიანდაგების უვარგისობის გამო. სიჩქარეები შეზღუდულია გზების 489 მონაკვეთზე, რაც იწვევს მატარებლების მიმოსვლის შეფერხებას და დანიშნულების ადგილზე დაგვიანებით მისვლას.

საქართველოს რკინიგზა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დივერსიული აქტების გამო. არანაკლებ დანაშაულს სჩადიან გადაგვარებული ადამიანები, რომლებიც ამტვრევენ და იპარავენ ელექტრომოწყობილობას, ტექნიკურ აპარატურას, განსაკუთრებით ეტანებიან ფერადი ლითონების შემცველ ნაკეთობებს. ამით რკინიგზა 11 მილიონი მანეთით დაზარალდა. სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობისთვის მიყენებული ზარალი 88 მილიონ მანეთს აღემატება. სალიანდაგო მეურნეობამ აფეთქებებით 600 მილიონი მანეთით იზარალა. და ყველაფერი ეს უნდა ზიდოს ღარიბ-ღატაკმა და შიმშილის ზღვარზე მყოფმა ქვეყანამ, რომლის ხაზინა გამოცარიელებულია.

თუ ასე გაგრძელდა, რკინიგზის ტრანსპორტი მთლიანად გაჩერდება.

განსაკუთრებული განუკითხაობაა საქართველოს საავიაციო ტრანსპორტზე. აქ უგულებელყოფილია „სააეროდრომო სამსახურის“, „მგზავრთა და ბარგის გასინჯვის“, „სამოქალაქო ავიაციის საწარმოებში საშვთა და შიდაობიექტო რეჟიმის დაცვის შესახებ“ მოქმედი ნორმატიული აქტები. დაუცველია აეროპორტის ტერიტორია, სადაც ადვილად აღწევენ უცხო, საეჭვო პირები, შეაქვთ აკრძალული საგნები და ნივთიერებანი, ხელყოფენ არსებულ ქონებას.

თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ერთ დღეს შეიჭრა 350-ზე მეტი მოქალაქე და ათობით კერძო ავტომანქანა. აეროპორტის ხელმძღვანელობამ და პოლიციის მუშაკებმა ვერ აღკვეთეს ეს აქტი. მომხდურთა თითქმის ნახევარი სატრანსპორტო თვითმფრინავში შეიჭრა და მოახერხა უბილეთოდ გამგზავრება მოსკოვს.

ბათუმის აეროპორტში თვითმფრინავის სამი რეისის შემოწმებისას აღმოჩნდა 28 ზედმეტი მგზავრი, მათ შორის 14 უბილეთო იყო. სამწუხაროდ, ამ შემოწმებამ ვერ „დააფრთხო“ [illegible] ავიატორები, მეორე დღეს მათ მეტი წარმატებით „იღვაწეს“: ამჯერად ორი რეისის გასინჯვამ 33 ზედმეტი მგზავრი გამოავლინა. „ან-26“ სატვირთო თვითმფრინავის ორ რეისზე მგზავრებმა ტვირთი აუწონავ-შეუმოწმებლად შეიტანეს.

მოხდა კურიოზული შემთხვევაც. იმის გამო, რომ ნალჩიკის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავზე მგზავრები რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ და ტვირთი არც აუწონავთ და არც გაუსინჯავთ, ლაინერი ისე დაიტვირთა, რომ ეკიპაჟმა გზა ველარ გაიკვლია და საავარიო ლუკიდან ცდილობდა სამართავ კაბინაში შესვლას (?!).

აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის სახელზე შეტანილია პროკურატურის წარდგინება, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პოდა, ერთი ანდაზის არ იყოს — ქურდს რა უნდა და, ბნელი ღამეო, — ბათუმელმა აეროპორტელებმაც ისარგებლეს უკონტროლობით და ძველებური სტილით განაგრძეს მუშაობა. შემდგომი შემოწმებისას გამოვლინდა ფრენის უსაფრთხოების ელემენტარული წესების დარღვევის უარესი ფაქტებიც, კერძოდ: გაუნათებელია ასაფრენი ზოლი, დაუცველია აეროპორტის ტერიტორია, მოშლილია ღობე, სარეჟიმო ზონაში მიმოდიან მსუბუქი ავტომანქანები და ავტობუსები, აეროპორტის ხელმძღვანელობა კი თავს არხეინად გრძნობს.

თუ რა მოსდევს თვითმფრინავების უზომოდ გადატვირთვას, ამის მწარე მაგალითებიც გვაქვს. ლვოვის აეროფლოტის „ილ-12“ თვითმფრინავში სამი ტონით მეტი ტვირთი ჩატვირთეს, მაგრამ ეს საბუთებში არ აღნიშნეს. გადამეტტვირთვის გამო დაირღვა თვითმფრინავის გაწონასწორების გრაფიკი, ლაინერი დაზიანდა. ანალოგიური დარღვევა მოხდა თბილისი-ომსკის რეისზე. სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უსაფრთხოების ინსპექციამ აღნიშნული ფაქტი ზერელედ გამოიკვლია და, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია იმას, რომ ხომალდის გადამეტტვირთვის გამო მისმა მეთაურმა მართვაზე უარი განაცხადა. ამ სისხლის სამართლის საქმეს ახლა სამგორის რაიონის პროკურატურა იძიებს.

არის ასეთი ფაქტებიც; ზოგჯერ კანონის დამრღვევებად გვევლინებიან ისინი, ვინც უშუალოდ უნდა იცავდეს მას. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელთა მითითებით, სამგზავრო თვითმფრინავი ტუ-154-ბ სატვირთოდ გადააკეთეს წონასწორობის ხელახალი გაანგარიშებისა და სათანადო ინსტრუქციის გარეშე. ამგვარ პირობებში თვითმფრინავმა რეისი გააკეთა. მაგრამ კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს. თბილის-მინერალური წყლების რეისზე კომერციული საწყობის „ლასარის“ მუშაკებისთვის ხელი არავის შეუშლია, რომ თვითმფრინავში ზედმეტად ჩაეტვირთათ ექვს ტონაზე მეტი საქონელი და ჩაესვათ 16 უბილეთო მგზავრი. ეს გახდა ცნობილი კატასტროფის მიზეზი: დაიღუპა 30 კაცი, მათ შორის ეკიპაჟის 8 წევრი, ალექსეევკის დასახლების 4 მცხოვრები.

საგანგაშოა თბილის-სოხუმის რეისებზე შექმნილი ვითარება. ვერც თბილისისა და ვერც სოხუმის აეროპორტის ადმინისტრაცია ელემენტარულად ვერ იცავს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ სამგზავრო თვითმფრინავებით გადააქვთ საარტილერიო დანადგარები, ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებანი; რეისები ზოგჯერ ივსება შეიარაღებულ ფორმირებათა წევრებით, უბილეთო და მოძალადე მგზავრებით, ლტოლვილი ქალები, ბავშვები, მოხუცები და დაჭრილები კი ხშირად თვითმფრინავში შესვლას ვერ ახერხებენ. ამ ბოლო დროს შეიარაღებულ ფორმირებათა ცალკეული ჯგუფები, მათ მიტმასნილი თუ თვითმარქვია გვარდიელები და მხედრიონელები ეკიპაჟის წევრებს თავიანთი ნება-სურვილით ფრენასაც კი უკარნახებენ და მიზანსაც აღწევენ. მოძალადენი ხშირად შეზარხოშებულნი არიან. მათი თავხედობა კატასტროფისა და მისი მძიმე შედეგების ყველა პირობას ქმნის.

ერთი სიტყვით, ქვეყნის რკინიგზასა და საავიაციო ტრანსპორტს ყველაზე მძიმე ჟამი უდგას და გაჩერების ზღურბლზე დგას.

ზემოთქმული განიხილა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ. პირუთვნელად ითქვა, რომ რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ და მისმა სამსახურებმა მეტი ოპერატიულობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ. კოლეგიამ ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დაცვა-განმტკიცებისათვის გაწეული საპროკურორო ზედამხედველობა არასაკმარისად ჩათვალა და მისი გაუმჯობესების კონკრეტული გზები დასახა.

დავით ბიწაძე.

კვლავ უმწვავესია

დღეს კვლავ უმწვავესია სათბობის პრობლემა და ამასთან დაკავშირებული სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის ტრანსპორტირების საკითხები, აღნიშნეს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომის მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა. ბენზინის დეფიციტი გავლენას ახდენს მაღაზიებში პურის მიწოდებაზე, ხოლო რესპუბლიკურ ბაზებში — ზამთრის მარაგისათვის ბოსტნეულის მოსავლის შეტანაზე. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა სხვადასხვა სამსახურის ძალისხმევის გაერთიანება ამ სადღეისო პრობლემის გადაჭრის გზების საძიებლად. ისიც ითქვა, რომ ჩვენს ნავსადგურებში მეტისმეტად ნელა ხდება ხომალდებიდან ფქვილისა და მარცვლეულის გადმოტვირთვა. კერძოდ, აღინიშნა, რომ ყოვნდება ციტრუსების მოსავლის აღება აფხაზეთში, სადაც სულ ცოტა 45-50 ათასი ტონა მანდარინის დამზადების შესაძლებლობაა. ანალოგიური მდგომარეობაა კარტოფილთან, კომბოსტოსთან და სტაფილოსთან დაკავშირებით. მაგალითად, რკინიგზის სექციების უქონლობა ჩაშლის საფრთხეს უქმნის ყაზახეთთან „საქხილბოსტანვაჭრობის“ ხელშეკრულებას ჩვენს რესპუბლიკაში კარტოფილის დიდი პარტიის შემოტანის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს გაისად სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. მაგალითად, მარცვლეულის, ბურღულის, ბრინჯის შესყიდვის ფართო შესაძლებლობანია ყაზახეთში. მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ეს საკითხი მთავრობათა შეთანხმების დონეზე უნდა გადაწყდეს.

შეეხნენ აგრეთვე დაკრედიტების, სოფლის მოსახლეობასთან ანგარიშსწორების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი სურსათ-სანოვაგით რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკვანძო პრობლემას.

სხდომაზე, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი გიორგი კვესიტაძე თავმჯდომარეობდა, მიიღეს საჭირო გადაწყვეტილებანი და მიეცათ შესაბამისი დავალებები.

ინფორმაცია

მოკლე-მოკლედ

„იბერია“ გვატყობინებს:

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე იმყოფება თურქეთში. იგი შეხვდება ამ სახელმწიფოს მეთაურებს. თურქეთის მხარემ სურვილი გამოთქვა, საქართველოს გამოუყოს სესხი, რომლის შესახებაც ა. ჩიკვაიძე მოლაპარაკებას ექნება თურქეთის პრემიერ-მინისტრ ს. დემირელთან.

თბილისი. რამდენიმე დღის შემდეგ სტოკჰოლმში მიემგზავრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინისტრთა საბჭოს მუშაობაში.

თბილისი. 8 დეკემბერს დილის 10 სთ-ზე პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა 800-მდე მოქალაქე, რომლებიც მოითხოვდნენ მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარესთან ვაჟა ადამიასთან შეხვედრას. მათთან საუბრისას გაირკვა, რომ დიდუბის რ-ნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმედმა“ მოქალაქეთაგან აიღო თანხა, რომლის გასამმაგებასაც პირდებოდა ორი თვის შემდეგ. მოქალაქეები მოითხოვდნენ ორი-სამი თვის წინ შეტანილი თანხების დაბრუნებას შესაბამისი ინდექსაციით. საზოგადოების ხელმძღვანელი თამარ ღუდუშაური და მანანა დონდუა დააკავეს. მოქალაქეებმა ვაჟა ადამიასთან შეხვედრა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს.

სოხუმი. „იბერიის“ კორესპონდენტს შეატყობინეს, რომ დღეს ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში პირველად სოხუმიდან გამოვა სოხუმ-თბილისის სამგზავრო მატარებელი. მატარებლის გასვლას მეთვალყურეობას გაუწევენ ქართველი მებრძოლები.

●

წმინდა გიორგის მადლი შეგეწიოთ

გიორგობა დღეს ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინის წმინდა გიორგის ეკლესიას შემოგარენი ხალხით გაივსო. აქ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ისევ შემოჰკრეს სამრეკლოზე ზარს, ახმიანდა ტაძრის გუმბათი, ისევ აჟღერდა ქართული საგალობელი.

ქველმოქმედ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გიორგობისთვის მოაწესრიგა მიტოვებული ეკლესია. მარგვეთის მიტროპოლიტმა არქიელმა კონსტანტინემ ლოცვა აღავლინა და ახლად აკურთხა ტაძარი, რომელიც მოქმედად გამოაცხადა.

ამიერიდან ტაბაკინის წმინდა გიორგის ეკლესია ისევ შეევედრება უფალს ქართველი ერის გადარჩენას, ეს სულიერი ძეგლი კვლავ სიკეთისა და აღორძინებისთვის მოუხმობს მრევლს.

საქველმოქმედო სპექტაკლი

ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში ფილარმონიასთან არსებულმა მინი-თეატრმა „ანშლაგმა“ საქველმოქმედო სპექტაკლი გამართა და მაყურებელს — აფხაზეთიდან დროებით გადმოსახლებულებს უჩვენა კომედია „პოლიტიკა და სიყვარული“.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დანგრეული იმპერიის ლაბირინთებში

8 დეკემბერს წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა, უკრაინის პრეზიდენტმა კრავჩუკმა და ბელარუსის პრეზიდენტმა შუშკევიჩმა ბელოვეჟის ტყეში ხელი მოაწერეს და გამოაქვეყნეს დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო მის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა გამოცხადდა. დღეისათვის თანამეგობრობაში 10 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შედის. ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და საქართველო თანამეგობრობაში არ შესულან, ხოლო აზერბაიჯანის პარლამენტს თანამეგობრობის ხელშეკრულება ჯერ არ დაუმტკიცებია. განვლილმა წელიწადმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირურთიერთობის მოულოდნელმა ნგრევამ, ცენტრალიზებული იმპერიული სისტემის დემონტაჟმა ხერხემალი გამოაცალა ინტეგრირებულ ეკონომიკას, იდეოლოგიური ვაკუუმი შექმნა და დასაბამი მისცა უკლებლივ ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არნახული ტემპით ეკონომიკის დაქვეითებას, ფასების უაზრო ზრდას, ჰიპერინფლაციურ პროცესებს. უამრავი ქარხანა და საწარმო გაჩერდა, გაიძარცვა და გაპარტახდა. სტაგნაციამ მოიცვა მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, განსაკუთრებით მტკივნეულად — მოსახლეობის უფართოესი ფენები. ცხოვრების დონე კატასტროფულად დაქვეითდა. უფართოესი მასები შიმშილის ზღურბლთან აღმოჩნდნენ. საბაზრო ეკონომიკაზე დეკრეტული გადასვლის, დასავლური მოდელების უკრიტიკოდ გადმოტანის ცდებმა ეკონომიკის ქაოსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და უდიდესი ძალის სოციალური აფეთქების რეალური პირობები შექმნა. ამის პირველი მაუწყებელია უაღრესად საშიში ეროვნებათაშორისი და ეთნოკონფლიქტები ყოფილ საბჭოთა იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეებზე. ეს კი არნახული ძალის გლობალური აფეთქების რეალური დეტონატორი შეიძლება გახდეს, თუ არ მოხერხდა ვითარების სწრაფი სტაბილიზაცია ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე. ხალხები და ეთნოსები დანგრეული იმპერიის ლაბირინთებში აღმოჩნდნენ. და სიბნელეში ერთმანეთს სამიშად ერკინებიან. **მიზეზი?** მოხდა ცეცხლითა და მახვილით, ერთიანი ტოტალიტარული იდეოლოგიით, ეკონომიკურად მჭიდროდ ინტეგრირებული მრავალეროვნული საზოგადოების უეცარი აფეთქება. მას ჯერ კერები გამოაცალეს, შემდეგ მოძლიერება, ცენტრალიზებული სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტების ბერკეტები. ძველი დაინგრა, ახალი ჯერ არ აშენებულა. მიმდინარეობს გზების ძიება; ადამიანებზე, საზოგადოებაზე უპრეცედენტო ექსპერიმენტები, ძალისმიერად ინტეგრირებული საზოგადოების დეზინტეგრაციის პროცესი დაიწყო.

გამოსავალი? თვისებრივად ახალ საწყისებზე, დემოკრატიულ საფუძველზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის აღდგენა და ამ გზით მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვაა. დემოკრატიული საქართველო, დემოკრატიული რუსეთი, ყოფილი საბჭოთა იმპერიის ყველა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს გზა გარდაუვალია. ეს ის მაგისტრალური გზაა, რომლითაც ბუნებრივი კანონზომიერი პროცესებით მიდის ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ეკონომიკური ზონა, ამერიკა-კანადა-მექსიკის ერთიანი ეკონომიკური ალიანსი, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, რაც ერების, ეთნოსების კეთილდღეობის, თვითმყოფადობის შენარჩუნება-გაფურჩქვნის რეალურ პირობებს ქმნის. ინტეგრაცია ეკონომიკური კეთილდღეობის ხვალინდელი დღეა. XXI საუკუნე ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური ინტეგრაციის საუკუნე იქნება.

ირაკლი ჯაფარიძე.

სხვა გაზეთებიდან

ნინო ანანიაშვილი — პირველი რუსული კერძო პრემიის ლაურეატი

60 000 დოლარი — ასეთია პრემია, რომელსაც რუსეთის საქველმოქმედო ფონდი „ტრიუმფი“ გადასცემს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ფონდი დააწესა რუსეთის უდიდესმა სააქციო კომპანია „ლოგოვაზმა“ და ყოველწლიურად 7 იანვრისათვის (მართლმადიდებელთა შობა დღისათვის) გადასცემს დაჯილდოებულთ 5 პრემიას.

„ტრიუმფის“ პრემია სხვა ამგვარი სახელმწიფო ჯილდოებისაგან მარტოოდენ შთამბეჭდავი ოდენობით როდი გამოირჩევა. პირობისამებრ, არც ერთ ორგანიზაციას და კერძო პირს არ შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატი. პრემიის მაძიებლის წამოყენებისა და არჩევის უფლება აქვს მხოლოდ იმ ჟიურის 12 წევრს, რომელიც ჩამოყალიბდა რუსული კულტურის გამოჩენილ ხელოვანთაგან.

3 დეკემბერს გამოცხადდა თავისუფალი არჩევნის შედეგები. პირველი რუსული კერძო პრემიის ლაურეატები გახდნენ ლიტერატურათმცოდნე ს. ავერინცევი, ბალერინა ნ. ანანიაშვილი, რეჟისორი ლ. დოდინი და მსახიობი ტ. შესტაკოვა, მხატვარი დ. კრასნოპევცევი, კომპოზიტორი ა. შნიტკე. ფარული კენჭისყრით ვერ გავიდნენ არანაკლებ ღირსეული კანდიდატები — მწერალი ვ. ვოინოვიჩი, მხატვარი ი. კაბაკოვი და მოქანდაკე ვ. კლიკოვი.

შეიძლება მივულოცოთ ლაურეატებს. მაგრამ მისალოცი და მისაბაძია აგრეთვე იმ მეწარმეთა ამაგიც, რომლებიც ძნელბედობის ჟამს აღორძინებენ და ერთობ გულუხვი მასშტაბითაც, — რუსული მეცენატობის მივიწყებულ ტრადიციას.

„იზვესტია“, № 263,5/XII-92.

სარედაქციო ფოსტიდან

ვის დავუჩივროთ?!

1992 წლის 17 ნოემბრის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იტყობინებოდა („არც ერთი კითხვა უპასუხოდ“), რომ ამ გაზეთის გამოწერა შეიძლებოდა ერთი წლით. ამას გარდა, სხვა ნომრებში აღნიშნული იყო, რომ ვინაც მთლიანად 1992 წლისათვის ჰქონდა გამოწერილი გაზეთი და წარუდგენდა დამატებითი გამოწერის ქვითარს, 110 მანეთს არ გადაიხდიდა. ესე იგი, გამოაკლდებოდა გაზეთის საერთო ღირებულებას.

ამის შესახებ მივმართე ქალაქ ქობულეთის, შემდეგ ქალაქ ბათუმის „საქპრესის“ განყოფილებების მუშაკებს, რომლებმაც უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ მათ ამის თაობაზე არავითარი მითითება არა აქვთ, ხოლო გაზეთების განცხადებას არ უჯერებენ. ამის გამო იძულებული გავხდი გამომეწერა „საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ ექვსი თვით სრული ღირებულებით (მხედველობაში არ იქნა მიღებული ის, რომ 1992 წლისათვის გამოწერილი მქონდა „საქართველოს რესპუბლიკა“).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვის უნდა დავუჩივროთ?! როგორც იტყვიან, ფიცი გაწამს, ბოლო გაგაკვირვებს!

ტრისტან მდინარაძე.

ქობულეთი.

რედაქციისაგან: ჩვენ დაგვიჯერეთ, ბატონო ტრისტან! „საქართველოს რესპუბლიკის“ 5 დეკემბრის ნომერში უკვე ვაცნობეთ დაინტერესებულ მკითხველებს, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ ხალიბეგაშვილმა კვლავ (მერამდენედ) დაგვიდასტურა გაზეთის რედაქციასა და სამინისტროს შორის არსებული შეთანხმება.

აქედან გამომდინარე, თქვენი მოთხოვნა სამართლიანია, ხოლო ისინი, ვინც უარს გეუბნებიან, ჩვეულებრივი ბიუროკრატები არიან.

ეგებ დამეხმაროთ

ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საკრებულო რაიონის ცენტრს 40 კილომეტრით არის მოშორებული. ჩვენსა და რაიონს შორის არსებობს ორბელის უღელტეხილი, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მეტრზეა. იგი ხშირად ჩაკეტილია. ამას ემატება საწვავის უქონლობა და კავშირგაბმულობის ადგილობრივი განყოფილების მოუქნელი მუშაობა, რის გამოც თვეში ერთხელ თუ ვიღებთ პრესას.

ჩვენი სოფლის მცხოვრებნი გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან, რათა ჩვენი გაზეთები შემოგვიზიდონ ამბროლაურ-ონის კავშირგაბმულობის მანქანის საშუალებით. ჩვენს მდგომარეობაშია ალპანისა და ლვირიშის საკრებულოში შემავალი 15 სოფლის დაახლოებით 2000 ხელისმომწერი.

ველით თქვენს დახმარებას.

ტვიშის საკრებულოში მცხოვრებნი. 800 ხელისმომწერი.

ეს ჩვენი საქართველოა!

იმედი

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

ანსამბლი ცოცხლობს

აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლი ამ ერთი წლის წინათ შეიქმნა დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვეზდენ ოყუჯავას და ქორეოგრაფ სერგო შენგელიას თაოსნობით. ანსამბლის წევრებმა მრავალფეროვანი რეპერტუარი მოამზადეს და როგორც კი გადაწყვიტეს ფართო სამსჯავროზე წარდგომა, სწორედ მაშინ დაიწყო ეს საშინელი ომი. ბიჭებმა საბრძოლო ფარაჯები ჩაიცვეს და კონცერტიც გაურკვეველი დროით გადაიდო.

ანსამბლის მთავარი ადმინისტრატორი ანზორ დუმბაძე, რომელიც ამ დღეებში თბილისში იმყოფება, გვეუბნება: „ჩვენი ანსამბლის ბიჭები ახლა სხვადასხვა ფრონტზე იბრძვიან. გვსურს როგორმე ხმა მივაწვდინოთ მათ და შევახსენოთ, რომ მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ანსამბლი მაინც ცოცხლობს. საზოგადოებრიობა ყოველმხრივ გვეხმარება. ანსამბლს კოსტიუმებს უკერავს თბილისის ეროვნული ტანსაცმლის კერვის ატელიე და მალე მზად იქნება. დიდი მადლობა მაუდ-ქამვოლის კომბინატის ხელმძღვანელობას, რომელმაც ჩოხებისთვის უფასოდ გამოგვიყო მაუდი.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო ჩვენი ანსამბლის წევრებს, რომ ხელმძღვანელობა ელოდება მათ, რათა თავი მოიყარონ სოხუმში, ან შეძლებისდაგვარად გამოცხადდნენ თბილისში მისამართზე: რუსთაველის პროსპექტი № 16, საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის დარბაზში, ტელეფონი 99-79-49, ან სოხუმში, კულტურის სამინისტროში.

ეკა ჯიმშელაძე.

რუსთაველთა წვლილი

დაახლოებით 15 მილიონი მანეთი გადარიცხეს ქალაქ რუსთავის საწარმოების, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებისა და დაწესებულებების კოლექტივებმა სამხედრო ფორმირებათა და მათი ოჯახების დახმარების აქ შექმნილ ფონდში. სპეციალურ ანგარიშზე შემოსული სახსრების დანიშნულებისამებრ მოხმარების მიზნით, მოქმედებს კომისია, რომელშიც გაერთიანებული არიან ქალაქის ყველაზე ავტორიტეტიანი ადამიანები. მეტალურგების, ქიმიკოსების, ამშენებელთა დიდმა უმრავლესობამ ფონდში ორი-სამი, მთელ რიგ შემთხვევებში კი ხუთი დღის ხელფასიც შეიტანა. მარტო მეტალურგებმა გადარიცხეს სამ მილიონ მანეთზე მეტი და შეიძინეს კიდევ 30 მილიონი მანეთის საბრძოლო ტექნიკა. საწარმოს საბაღე ნაკვეთებში შეაგროვეს და სამშობლოს დამცველ მეომრებს გაუგზავნეს ორი მილიონი მანეთის ხილი და ბოსტნეული.

ასობით რუსთაველმა შეაგროვა დიდძალი თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, დაახლოებით 1000 კომპლექტი ლოგინის თეთრეული, საოჯახო ნივთები, რომლებიც განკუთვნილია აფხაზეთიდან ლტოლვილებისთვის.

ინფორმაცია

მოკლე-მოკლედ

ხორბალი კალინინგრადიდან

კალინინგრადიდან ჩამოსული რკინიგზის შემადგენლობა გადმოსაცლელად მიიღეს პურპროდუქტების რესპუბლიკური გაერთიანების თბილისის საწარმოებმა, საქართველოსათვის განკუთვნილი 12.500 ტონიდან პირველ პარტიად ჩამოტანილია 1800 ტონა იმპორტული ხორბალი. როგორც თბილისის წისქვილქარხნის დირექტორი მერაბ ბერბერაშვილი მიიჩნევს, სასურსათო მარცვლეული აკმაყოფილებს საუკეთესო სტანდარტების მოთხოვნებს.

იმ ორ გემს, რომლებმაც ჩამოიტანეს იტალიური ფქვილი რესპუბლიკის ნავსადგურებში, შეუერთდა მესამეც — „თურგუთ-ოლლუ“. მან 7000 ტონა ხორბალი ჩამოიტანა ფოთში თურქეთის რესპუბლიკიდან. ეს მონაცემები საქინფორმის კორესპონდენტს გააცნო პურპროდუქტების რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების უფროსმა ომარ კაციტაძემ.

ვალერიან ბაბუაძე.

ქართველ მოქანდაკეთა წარმატება

ქართველი მხატვრების ნიველ ჩიქიასა და ჯონი გოგაბერიშვილის ექვსი სკულპტურული ნამუშევარი ამიერიდან დაამშვენებს გერმანიის პატარა ქალაქ გონსბეკს. იქ გაიმართა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც თვენახევარს მიმდინარეობდა და დასრულდა ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის. მის მუშაობაში მონაწილეობდა ქართული სახვითი ხელოვნების ეს ორი წარმომადგენელიც. ფორუმის პირობების თანახმად, მისი ყოველი მონაწილე ქმნის ნაწარმოებს ქალაქის პარკში, რომელთაგან შემდეგ საუკეთესოებს დატოვებენ ქალაქში.

ასეთი ბედი ხვდა წილად ნიველ ჩიქიას ნამუშევარს „სამი ფიგურა“, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მამაც ძველ გერმანელ რაინდებს — სამშობლოს დამცველებს და ჯონი გოგაბერიშვილის „ქალის ფიგურას“. ქართველი მოქანდაკეების შემოქმედებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა შესთავაზეს ქართველ მოქანდაკეებს კიდევ დარჩენილიყვნენ გერმანიაში, თვითონ იკისრეს ამასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ამის შედეგად გონსბეკი დაამშვენა ჩვენი მხატვრების კიდევ ოთხმა ნამუშევარმა.

პრემიერა — „ალუბლის ბაღი“

ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ გმირები ალაპარაკდნენ თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სცენიდან. გასულ შაბათს ნაჩვენები პრემიერა იმით არის საგულისხმო, რომ მის მიმართ სამგზის შეიძლება იხმარო ცნება „პირველი“. საქართველოს თეატრალურ ისტორიაში პირველად განხორციელდა „ალუბლის ბაღის“ დადგმა. ეს არის რეჟისორ გოგი ქავთარაძის პირველი ნამუშევარი თეატრში მას შემდეგ, რაც იგი ახლახან სათავეში ჩაუდგა მას. გარდა ამისა, ეს არის გრიბოედოველთა სეზონის პირველი პრემიერა, რომლებიც ემზადებიან აღნიშნონ საქართველოში უძველესი რუსული თეატრის 150 წლისთავი.

ახლა თეატრში მიმდინარეობს კუპრინის მიხედვით სპექტაკლ „ორმოს“ რეპეტიციები, რომელსაც გოგი ქავთარაძე დგამს.

ქართული წიგნი ინგლისში

მართალია, ინგლისს ნისლიან ალბიონს უწოდებენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ კლიმატის გარდა იქ ნისლითა და ბურუსით მოცული არაფერია. მოდა, სწორედ ამან შეუწყო ხელი იმას, რომ ღირსეულად შეეფასებინათ წიგნი „ნატურალური ცეოლითები“, რომელიც დაწერეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ციციშვილმა და ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა თ. ანდრონიკაშვილმა ბულგარელ მეცნიერებთან გ. კიროვთან და ლ. ფილიზოვთან თანაავტორობით და რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოუშვა „ელის ჰორვუდის“ გამომცემლობამ. როგორც ინგლისელი რეცენზენტი აღნიშნავს, ავტორებმა შეძლეს გასაგებად მოეთხროთ ცეოლითების წარმოშობის, ქიმიური შემადგენლობისა და კრისტალოგრაფიის, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში მათი გამოყენებით დანიშნულების შესახებ, განსაკუთრებით კი მათ თვისებაზე შეასრულონ ნეიტრალიზატორის როლი გარემოზე მინერალური სასუქების დამღუპველი მოქმედების საქმეში.

გვაკლდნენ და დაგვიბრუნდებიან

მოსკოვის „შავ ბაზარზე“ ნარკოტიკებით ვაჭრობის 82 პროცენტს ამიერკავკასიის მკვიდრნი აკონტროლებენ. ყველაზე ძლიერი დაჯგუფება აზერბაიჯანელებისაა, რომელიც 15-20 ათას კაცს ითვლის, და რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც მისი პატრონი; ქურდული სამყაროს დიდი „ავტორიტეტი“ ვალოდია ბაკინოვი ციხიდან გათავისუფლდა.

მოსკოვის მილიციის მონაცემებით, იგი თავის გავლენის სფეროს თანდათან აფართოებს ხოშების, სომხებისა და ქართველების მცირერიცხოვანი ჯგუფების შევიწროებით.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოსკოვიდან გუდანაბადაკრული პატარა ქართველი ნარკობარონები სამშობლოს დაუბრუნდებიან.

გამოიცა მთავრობის დადგენილებათა კრებული

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი მმართველობის, სამართალდამცავი ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების, სამეურნეო, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციების, საწარმოო გაერთიანების, ასოციაციების, კონცერნების, ფირმების, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების, აგრეთვე კერძო პირთა დიდი მოთხოვნა რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, განსაკუთრებით ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, სამართლებრივი, სამეურნეო სამეწარმეო და სხვა საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებზე, და გადაწყვიტა 1993 წლის იანვრიდან ყოველთვიურად გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული ქართულ და რუსულ ენებზე.

მთავრობის დადგენილებათა კრებულის წლიური ხელმოწერის ფასია 240-240 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებულის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით.

ცხონება

ოთარ ლომიძე

გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, რესპუბლიკის დამსახურებული ბუღალტერი, პერსონალური პენსიონერი ოთარ ალექსანდრეს ძე ლომიძე.

დაიბადა 1925 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1965-1980 წლებში ეკავა კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტრისა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსის თანამდებობა, მომდევნო წლებში ხელმძღვანელობდა საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ ბუღალტერიას, ხოლო 1983 წლიდან 1986 წლამდე იყო საქართველოს ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.

1986 წლიდან მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარ ბუღალტრად, პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო ოთარ! ფიზიკურად დაშორდი ულამაზეს თბილ ოჯახს, შენს კოლეგებს, მაგრამ სულიერად მუდამ იქნები ჩვენთან, რადგან შენი ადამიანობა არასოდეს დაიკარგება უკვალოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

შალვა ჩიგოგიძე

გარდაიცვალა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოცენტი შალვა ჩიგოგიძე.

ინსტიტუტის პედაგოგიურ და სამეცნიერო კოლექტივს გამოაკლდა პრინციპული, გულისხმიერი, კეთილი ადამიანი, ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელმაც თავისი პროფესიონალიზმი, საქმის ღრმა ცოდნა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა სტუდენტთა აღზრდასა და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ბატონი შალვა დაიბადა 1918 წელს. მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1947 წლიდან ჯერ სიღნაღის და მცხეთის რაიონებში, ხოლო 1952 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ასისტენტად, უფროს მასწავლებლად და დოცენტად. 1961 წლიდან 1970 წლამდე იყო დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანი, 1970 წლიდან 1989 წლამდე — პრორექტორი. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, ავტორია ბევრი სამეცნიერო შრომისა ცხოველთა კვებისა და საკვებთა ტექნოლოგიის დარგში.

წავიდა ჩვენგან საქმისადმი ერთგული, ღირსეული ადამიანი და დატოვა წარუშლელი კვალი კოლეგების, მეგობრების და აღზრდილების მეხსიერებაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

საქქალაქმშენსახპროექტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე გიორგის ძე ანდრონიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფირმა „რვაფეხა“ გთავაზობთ

თუ გსურთ, რომ თქვენი პროდუქცია გამოიყურებოდეს მიმზიდველად, მიმართეთ ფირმა „რვაფეხას“, რომელიც დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულებს შემდეგი სახის პოლიგრაფიულ სამუშაოებს:

წიგნების, ბროშურების, ბლანკების აწყობასა და დაბეჭდვას, პლაკატებისა და ყველა სახის ეტიკეტების მაღალ მხატვრულ დონეზე მომზადებასა და ბეჭდვას, როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პრ. 1, ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური ცენტრი.

ტელ: 35-29-09; დარეკეთ 9-დან 16 საათამდე.

თბილისის ჟურნალისტის სახლში

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, 1 საათზე საზოგადოება „მემორიალი“ ჟურნალისტთა სახლთან ერთად აწყობს საღამოს, რომელიც ეძღვნება 1942 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის დახვრეტილთა გახსენებას.

ველით ყველას, ვისაც რაიმე აკავშირებს იმ ამბებთან.

ჩვენი მისამართია: ერეკლეს მოედანი, 3.

ვაი, სირცხვილო!

გმადლობთ, ქალბატონო ირმა!

წელს აგვისტოში ძალიან მძიმედ დაავადებული ჩოხატაურელი გოგონას იზა კალანდაძის საქმის მოგვარება მხვდა წილად. ბავშვს სასწრაფოდ სჭირდებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ჩემი ძალებით ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამიტომ დახმარება ვთხოვე ქალბატონ ირმა სოხაძეს — დაავადებულ და ინვალიდ ბავშვთა მეურვე საზოგადოების „იმედის“ ხელმძღვანელს. მარჯვენა ხელი კაბა დავითურის თანადგომა შედეგიანი გამოდგა: ბავშვი ორი თვე მკურნალობდა აშშ ნიუ-ჯერსის შტატში, ცნობილ „დებორას“ კლინიკაში, სადაც მას გაუკეთეს ურთულესი ოპერაცია, პატარა იზა სავსებით გამოჯანმრთელებული უკვე საქართველოშია.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადასცეთ ქალბატონ ირმას სრულიად უცნობი ადამიანებისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და სიკეთისათვის. ათეულობით ბედისაგან დაჩაგრული ბავშვი და მათი მშობლები შესცქერიან მას იმედის თვალით.

> მაგრამ ვაითუ თქვენმა და მრავალთა ძალისხმევამ ფუჭად ჩაიარა...

ჩვენში რომ ყველაფერი რიგზე იყოს, იქნებ, ამ წერილის დაწერა არც ყოფილიყო საჭირო. მაგრამ ახლა, როცა აშკარად განვიცდით ზნეობისა და მორალის დეფიციტს და ადამიანები ხშირად ერთმანეთში მტერსა და მოძულეს უფრო ხედავენ, ვიდრე მოყვასსა და თანამდგომს, იქნებ, ასეთი საქმეების გაცხადებამ დიდად არგოს ჩვენს საზოგადოებაში ჰუმანიზმის, სიკეთისა და ერთსულოვნების კვლავ დამკვიდრებას.

შადიმან ბიწაძე.

რედაქციისაგან: წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შეგვატყობინეს ამაზრზენი ფაქტი: ამ ოჯახს რამდენიმე დღის წინათ, ღამე თავს დასხმია 9 შეიარაღებული მძარცველი, ალბათ, იმის იმედით, რომ ამერიკიდან დაბრუნებულ დედა-შვილს თან ნივთები და ვალუტა ექნებოდათ ჩამოტანილი.

მშობლები სკამზე მიაბეს, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გადააქოთეს მთელი სახლი...

ბავშვი ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა და ამან საბედისწეროდ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმები ყველაფერს აკეთებენ მისი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად. სამწუხაროდ, სანუგეშო ჯერჯერობით არაფერია...

როგორც ჩანს, ჩვენში ზნეობა ისეთი კატასტროფული სიჩქარით ეცემა რომ თუ ჩვენმა საზოგადოებამ თავის თავში არ აღმოაჩინა ძალები და ამ სამარცხვინო მოვლენას წინ არ აღუდგა, ერის ხსნა შემდგომი დეგრადირებისაგან ძალიან გაძნელდება.

კრიმინალური ქრონიკა

ზესტაფონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა 5 დეკემბერს სადგურ ჭიათურის ტერიტორიაზე დააკავეს ამ ქალაქის მცხოვრებნი, უმუშევრები რაჟდენ ვიქტორის ძე ნოზაძე, შალვა თამაზის ძე ცერცვაძე და მამუკა ანზორის ძე კუსიანი, რომლებმაც ანძიდან ჩამოჭრეს ტელეფონის სადენი. დაკავებისას მამუკა კუსიანმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც იგი ტაბელური პისტოლეტით ფეხში დაჭრეს.

საქმეს იძიებს ჭიათურის პროკურატურა.

6 დეკემბერს ქალაქ თბილისის გლდანის მასივის მცხოვრები, ასოციაცია „დეტექტივის“ თანამშრომელი გელა დიმიტრის ძე პავლიაშვილი თავს დაესხა ახალსოფელში (ყვარლის რაიონი) მცხოვრებ ავთანდილ იაკობის ძე დვალიშვილის ოჯახს. მაკაროვის სისტემის დამბაჩის მუქარით თავდამსხმელმა ოჯახის წევრებს გამოსძალა 20 ათასი მანეთი. როდესაც ბოროტმოქმედი ქუჩაში გამოვიდა, მას რამდენიმე ათეული კაცი დახვდა — დვალიშვილის მეზობლები, რომლებმაც ადგილზე ჩაქოლეს გელა პავლიაშვილი.

შემთხვევის ადგილას მივიდნენ რაიონის პროკურორი ყაჭრიშვილი, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი იოსებაშვილი, სისხლის სამართლის სამძებრო უფროსი ხინჩილაშვილი და უბნის ინსპექტორი კობერიძე.

7 დეკემბერს 4 საათსა და 30 წუთზე ავტომატებით და ხელყუმბარებით შეიარაღებული 12 ნიღბიანი ბოროტმოქმედი, რომლებსაც ეცვათ გვარდიელის ფორმა, თავს დაესხა ქალაქ ოზურგეთის კომერციულ ტელეკომპანია „გურიას“. მათ ტელეკომპანიის საუწყებო დაცვის ოთხ დარაჯს სცემეს და სტუდიიდან გაიტაცეს ვიდეოტექნიკა.

მიმდინარეობს გამოძიება.

ცხადია, ქებას ღირსნი არიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, რომლებმაც ამ ბოლო დროს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ბოროტმოქმედებს, მიზნად დაისახეს რაც შეიძლება სწრაფად დაამყარონ სანიმუშო წესრიგი სოფლად და ქალაქად. ბოროტმოქმედებს კი უნდა ახსოვდეთ, რომ მათ არ დაინდობს არც კანონი და არც ხალხი, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს კანონისა და ქვეყნის წინაშე.

ექიმები თაღლითებს!..

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ საერთო ზედამხედველობის წესით შეამოწმა სახელმწიფო-შემოქმედებითი მარკეტინგული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფერიას“ საქმიანობის კანონიერება.

შემოწმებით დადგინდა, რომ საზოგადოება „ფერიას“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ფელიქსის ძე გაჩეჩილაძე, წევრები ირმა ჯემალის ასული ხუსკივაძე, გიორგი ფელიქსის ძე გაჩეჩილაძე №154-ე საშუალო სკოლის პედაგოგების, ზინაიდა გიორგის ასული გოგოლაძის, ჟუჟუნა მიხეილის ასული ფირანიშვილის, ლამარა არტემის ასული ყურაშვილისა და სხვათა დახმარებით შარშან და წელს მოსახლეობისაგან მოტყუებით იღებდნენ გარკვეულ თანხებს, რომელიც მათი დახმარებით, თითქოსდა ორი თვის გასვლის შემდეგ დაუბრუნდებოდათ გაორმაგებული ოდენობით, ანუ 100 პროცენტი მოგებით. ამრიგად, მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით მოქალაქეთაგან მოკრიბეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი და ირმა ხუსკივაძე, ალექსანდრე და გიორგი გაჩეჩილაძეები და ზინაიდა გოგოლაძე მიიმალნენ.

ამ ფაქტის გამო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ 1992 წლის 4 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

საქმეს იძიებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო.

თბილისელები ამარცხებენ მეტოქეებს

ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში მიმდინარეობს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის თამაშები „ა“ ჯგუფის გუნდებს შორის. გთავაზობთ მესამე დღეს გამართულ შეხვედრათა შედეგებს: სტუ-„აზოტი“ — 72:65, თსუ-„სამტრედია“ — 82:76, „დინამო“-„რიონი“ — 101:86.

მოპოვებულია 14 მედალი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში უკვე ვიუწყებოდით ქართველი იუნიორების მიერ მოპოვებული 2 ოქროს მედლისა და გუნდური პირველი ადგილის შესახებ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მინსკში. აქვე გაგაცნობთ ბრინჯაოს პრიზიორთა ვინაობას: კასპელები ბადრი ჯანიაშვილი (62 კგ), ივანე ჯამხიტაშვილი (90 კგ) და ჯამბულ ქამხაძე (100 კგ-ზე მეტი წონითი კატეგორია), მესტიელი ნესტორ ხერგიანი (48 კგ) და ლენტეხელი გია გაზდელიანი (62 კგ).

ხერგიანმა თავი გამოიჩინა ჭაბუკთა ასპარეზობაშიც, სადაც მას ასაკმა მისცა გამოსვლის უფლება. მან ჩვენს გუნდს ერთადერთი ვერცხლის ჯილდო მოუტანა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ ზუგდიდელი ლაშა ფიფია (70 კგ), კასპელი მამუკა ჯანაშვილი (81 კგ) და გორელი იოსებ ახალბედაშვილი (87 კგ-ზე მეტი წონითი კატეგორია).

საქართველოს მთავარი ნაკრების აქტივშია კასპელი ბესიკ ერაშვილის (82 კგ) „ვერცხლი“ და მცხეთელი არჩილ ჩოხელისა (62 კგ) და საგარეჯოელი მძიმეწონოსნის კობა კუპატაძის „ბრინჯაო“.

საფეხბურთო მოზაიკა

დიდი ქართული ფეხბურთის უახლოესი რეზერვი — 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა 4 გუნდი მონაწილეობდა გულშემატკივართა კლუბ „სამპდორიას“ თასის გათამაშებაში. ფინალური მატჩი ავლაბრის სტადიონზე 35-ე სკოლასა (მწვრთნელი—სოსო სირაძე) და „ნორჩ დინამოელს“ შორის პირველთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 5:1.

ბრიტანულმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა“ მეთერთმეტედ მოაწყო გამოკითხვა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის, მწვრთნელისა და გუნდის გამოსავლენად. ამ პოპულარული გამოცემის მკითხველებმა წლევანდელი სეზონის მიხედვით უპირატესობა მიანიჭეს: ფეხბურთელთა შორის — მარკო ვან ბასტენს (ჰოლანდია, „მილანი“), მწვრთნელთა შორის — რიჩარდ მიოლერ ნილსენს (დანია), გუნდებს შორის — დანიის ეროვნულ ნაკრებს.

გაირკვა ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების (კონკაკაფი) საკვალიფიკაციო ჯგუფების უძლიერესი გუნდები. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურებს გაითამაშებენ მექსიკის, ჰონდურასის, სალვადორისა და კანადის ნაკრებები.

ამერიკელთა 30-ე გამარჯვება

პროფესიონალ ჩოგბურთელთა არაოფიციალური გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი — „დევისის თასი“ ოცდამეათედ მოიგო აშშ-ს ნაკრებმა ჯიმ კურიეს, პიტ სამპრასის, ანდრე აგასისა და ჯონ მაკინროის შემადგენლობით, რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:1 სძლია შვეიცარიელებს.

—ხომ არ დაგავიწყდათ ჩვენი გაზეთის გამოწერა?

თუ გინდათ, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეთ და ყველაფერი იცოდეთ, რაც დედამიწის ზურგზე ხდება, გამოიწერეთ ყველაზე იაფი ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 20 დეკემბრამდე

ნუღარ გადასდებთ, დღესვე მიაკითხეთ საქპრესის განყოფილებებს!

განმარტება

ჩვენს გაზეთში 5 დეკემბერს დაბეჭდილ საქართველოს კულტურის მინისტრის ინტერვიუში პირველი კითხვის პასუხი უნდა იწყებოდეს ასე: „კულტურა თავისთავად ეროვნული მოვლენაა, მაგრამ იგი ამ საზღვრებით არ იფარგლება“.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66484